

# საქართველო

№ 3 კვირა, 14 იანვარი 1901 წ.

საქართველო

კვირა, 14 იანვარი 1901 წ. № 3

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა მაილება:** თფილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში. საპიერნის ქუჩა, № 15. **ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ.“

**შინაარსი:** ინგლისი ვიქტორიას მეფობაში ნ. ჟორდანიასი.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—ცოტა რამ სამეგრელოსა და მეგრელების შესახებ ვ. შავლიასი.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—პოლიტიკური მიმოხილვა.—მეოცე საუკუნის გარაჟრეებზე (წერილი ბრიუსელიდან) ლ. დ.—სა.—პანწკები რიგოლეტოსი.—პრომეთეოსი, დ.—ისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ბიბლიოგრაფია გ.—ოსი.—მწერლობის განვითარება ფ. მახარაძისა.—მცირე შენიშვნა და განცხადებები.

კვირას, 21 იანვარს დიდუბის ეკლესიაში გარდახდელ იქმნება წლის წირვა და ზანაშვიდი

## გიორგი ექ. წერეთლისა.

მეუღლე მისი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა და შვილები: ელენე, ლევან და ირაკლი აუწყებენ-რა მას ნათესავთ და ნაცნობთ, თხოვენ მობრძანდენ დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწება დილის 10 საათზე, ზანაშვიდი 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე.

„კვალი“-ს რედაქცია აუწყებს თავის თანამშრომელთ და მკითხველთ, რომ 21 იანვარს დიდუბის ეკლესიაში გარდახდელ იქმნება წლის წირვა და ზანაშვიდი

## გიორგი წერეთლისა.

წირვა დაიწება დილის 10 საათზე, ზანაშვიდი 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე.

## ინგლისი ვიქტორიას მეფობაში

დამ თავის 9, ქ. ოსბორნში გარდაიცვალა ინგლისის დედოფალი ვიქტორია. არც ერთი გვირგვინოსანი გავლილი საუკუნისა იმდენ ხანს არ ყოფილა სამეფო ტახტზე, რამდენ ხანსაც ვიქტორია იყო. 18 წლის ვიქტორია, როგორც ერთათ-ერთი მემკვიდრე უშვილოთ გარდაცვალებულის ინგლისის მეფის ვილჰელმ მე-IV, გამეფდა 1837 წ. და მას შემდეგ სამეფოს უზენაესი გამგეობა ერთი დღითაც კი არავისთვის გადაუცია. ამ 63 წლის განმავლობაში ინგლისში ბევრნაირი მთავრობა გამოიკვალა: აქ იყო სამინისტრო კონსერვატიული, ლიბერალური, რადიკალური და სხ., მაგრამ არც ერთ შემთხვევაში დედოფალს თავისი ძალი არ უხმარია და ხალხის სურვილის წინააღმდეგ არ წასულა. რომელ პარტიასაც ხალხი მიანიჭებდა უმრავლესობას, ის იმ პარტიის მეთაურთ მო-



† ინგლისის დედოფალი ვიქტორია.

იწოდებდა და თავის მინისტრებათ დანიშნავდა. რა მიმართულებისა და უხედულობის უნდა ყოფილიყო ეს ახალი სამინისტრო—დედოფალი თავის უზენაეს მოვალეობათ თვლიდა, მათ გადაწყვეტილებას დამორჩილდებოდა და ის თავის გადაწყვეტილებად გამოეტანა. მან მხოლოდ ორჯერ გამოიჩინა თავისი ინიციატივა სახელმწიფო საქმეში,—ერთი 1848 წ., როცა მან ნება არ მისცა თავის მთავრობას გერმანია-დანიის შეჯახებაში ჩარეულიყო და მეორე—1876 წ., როცა მან მოისურვა ინდოეთის იმპერატორის გვირგვინი მიეღო. ეს არის და ეს. ყოველ დანარჩენ შემთხვევაში მას არ უღალატნია კონსტიტუციურ ზნე-ჩვეულებებისა და ხალხის სურვილისათვის. კანონით, ინგლისის მეფეს ერთობ ბევრი უფლება აქვს. მაგ., მას შეუძლია გამოაცხადოს ომი, ჩამოაგდოს ზავი და სხ. და სხ.,

მაგრამ მას არასოდეს ეს უფლება არ უხმარია და ეს იმიტომ, რომ ამ უფლების წინააღმდეგია თვით ხალხი, თვით ერი ინგლისისა. იქ ხომ სანამ კანონი შეიცვლება, მანამდის იცვლება ხალხის რწმენა და საზოგადო აზროვნება და აი სწორეთ ინგლისის ნამდვილი კონსტიტუცია—ეს უკანასკნელია. ინგლისის პირველი მეფე იყო ვიქტორია, რომელმაც ეს მიიღო მხედველობაში და ამით ხელ-მძღვანელობდა. ერთის სიტყვით, დედოფალი დედოფლობდა, ყოველივე მისი სახელით კეთდებოდა, მაგრამ ის კი არას აკეთებდა, ის ჩვეყანას არ მართავდა. ამ მხრით ვიქტორია იყო ნამდვილი ინგლისელი, ინგლისელი— უმაღლესი თავისუფლების მოყვარული. ვიქტორიამ არა მარტო თვითონ შეთვისა ეს, არამედ ეგვევ შეათვისებია თავის მეუღლეს გერმანელ ალბერტს და ამ ტრადიციაში აღზარდა თავისი მემკვიდრე უელსის პრინცი და მთელი ოჯახი. მან ასწავლა ყველა თავის ახლობელთ, რომ მეფობის ერთადერთი სიბრძნე პოლიტიკიდან შორს ყოფნაა, დეე ჩვენ სახელით ვიმეფოთ, ნამდვილათ-კი იმეფოს თვით ხალხმაო. ამიტომაც არის, რომ დედოფლის არც ერთი შვილი თუ შვილი-შვილი პოლიტიკას არ ერევა, პარტიათა ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს, ასე გასინჯეთ, არასოდეს საპოლიტიკო სიტყვაც არ წარმოუთქვამთ, ე. ი. მათ არა აქვთ ეს უფლებაც, რაც ყველა ინგლისელის მიუცილებელი კუთვნილებაა. სამაგიეროთ, ისინი დიდ მონაწილეობას იღებენ კულტურულ საქმეებში. გახსნა წიგნთ-საცავების, აგება საავათმყოფოთა, გაყვანა გზების, გაკეთება ხიდების და სხ. და სხ—აი მათი მოქმედების სარბიელი.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, ვიქტორიას მეფობა არის მეფობა ხალხისა; ინგლისის ერს მხოლოთ მის დედოფლობაში მიეცა მოქმედების სრული თავისუფლება და ამან შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. არც ერთი სახელმწიფო არ განვითარებულა ისე ჩქარა და ღრმათ, როგორც ინგლისი განვითარდა ამ უკანასკნელ 60 წელიწადს. ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ რამდენსამეცნობებს\*).

მრეწველობა. მრეწველობის უმთავრესი დარგია საქსოვი ქარხნები, ნახშირის მადნები და რკინის წარმოება. 1837—1897 წ. წ. ინგლისს გაუტანია 156 მილიარდი ინგლისური არშინი (ჩვენებურზე მეტია) მოქსოვილი ბამბეულობა. ეს რომ ერთათ დავაწყოთ, გამოვა 50,000 ოთხ-კუთხი მილი და მთელ ინგლისს დაჰფარავს. უკანასკნელ წლებში ინგლისს წლიურათ 5 მილიარდი არშინი გააქვს. ნახშირის წარმოების სამშობლოთ ინგლისი ითვლება: ყოველ წელიწადს აქ მადნებიდან ამოაქვთ კაცის თავზე ორჯერ მეტი ნახშირი, ვინემ ამერიკაში, სამჯერ მეტი, ვინემ გერმანიაში და შეიღჯერ მეტი, ვინემ საფრანგეთში. ვიქტორიას მეფობაში რაც ნახშირი ამოუღიათ, ერთათ რომ დავაწყოთ, გამოვა ერთი კუბიკური მილი. ასეთივე გასაშტერებელი წარმატება ეტყობა რკინის წარმოებას. ინგლისი აქაც წინ უსწრებს ყველა რკინის მწარმოებელ სახელმწიფოებს.

\*) ცნობები ამოკრებილია 1897 წ. ინგლისური გაზ. „Daily Chronicle“-იდან და შეეხება—ინგლისს—ირლანდიითურთ.

ვაჭრობა. ინგლისის ვაჭრობა უკანასკნელ 60 წელიწადს მრეწველობასთან ერთათ გაიზარდა. ინგლისი მის მოცილე საფრანგეთს ჯობნიდა ვაჭრობაში 100 მილიონით; ხოლო 1870 წლიდან ყოველ წელიწადს (გარდა 1879 წ.) ორას მილიონზე მეტით ჯობნის თვითეულ მის მოცილეს. ინგლისის საგარეო ვაჭრობა, 1854 წ. უდრიდა 225 მილიონ გირვანქა სტერლინგს, (სტერლინგი=10 მ.) ანუ ორ მილიარდ 250 მილიონ მანეთს, ხოლო 1896, წ. 620 მილიონ სტერლინგს, ანუ ექვს მილიარდ 200 მილიონ მანეთს. ამავე ხნის განმავლობაში საფრანგეთის ვაჭრობა ერთ-მილიარდი მანეთიდან ავიდა სამ მილიარდამდის და გერმანიისა (1872 წლიდან) ორ მილიარდ ნახევრიდან ოთხ მილიარდამდის.

მამოსჯაა. რკინის-გზის კეთება პირველათ დაიწყეს 1837 წ. ინგლისმა ექვს წელიწადში (1843) გაიყვანა ორი ათასი მილი რკინის გზა, რითაც წელიწადში 20 მილიონი კაცი მოგზაურობდა. 1897 წ. კი რკინის გზა უდრიდა 21 ათას მილს და წელიწადში 930 მილიონი მოგზაური გადაყავ-გადმოყავდა. რკინის გზების სიმჭიდროათი ინგლისი ყველა სახელმწიფოზე წინ არის, გარდა ბელგიისა. სავაჭრო გემები ინგლისს 1837 წ. სწორეთ იმდენი ჰყავდა, რამდენიც ახლა თვითეულ სახელმწიფოს ჰყავს. ხოლო დღეს მისი გემთა რიცხვი და სიმძიმე გადააცილებს ყველა სახელმწიფოების გემების რიცხვსა და სიმძიმეს ერთათ აღებულს. 1837 წ. ინგლისს ჰყავდა 19,912 იალქნიანი გემი და 624 ორთქლით მავალი. 1896 წ. კი იალქნიანი იყო 12,117, ხოლო ორთქლ მავალი 8,386. რაც შეეხება ფოსტა-ტელეგრაფს, აქაც გასაშტერებელ ზრდას ვხედავთ. 1837 წ. ინგლისის ფოსტაში გაიარა 100 მილიონ ცალ ამანათმა. დღეს-კი სამ მილიარდ ცალს აცილებს, გაგზავნილ ამანათის რიცხვი 30 ჯერ გამრავლებულია. ტელეგრაფის მავთულთა სიგრძე უდრის 193,000 მილს, გარდა 27,000 მილისა, რომელიც კერძო პირთ ეკუთვნით. 1896 წლის პირველ სამ თვეს გაიგზავნა 79,000 ტელეგრამა, ე. ი. თითო მცხოვრებზე მოდის ორი ტელეგრამა.

სასქაწიფო შემოსავალი. რაკი ასე განვითარდა ერის მწარმოებელი ძალა, ცხადია, სახელმწიფოს შემოსავალიც უნდა გაძლიერებულიყო. აქ საყურადღებოა ის, რომ არა-პირდაპირი გადასახადი (აქზიცი და ბაჟები) თან და თან მცირდება და პირდაპირი გადასახადი ძლიერდება. ეს უკანასკნელი დამყარებულია შემოსავლის რაოდენობაზე. ის, ვისიც წლიური შემოსავალი 150 თუმანზე ნაკლებია, გადასახადისაგან თავისუფალია. გადასახადი იწყება 150 თუმანიან შემოსავლიდან და მატულობს შემოსავლის მომატებასთან ერთათ. არც ერთი ეს ცვლილება არ ყოფილა მაშინ, როცა ვიქტორია ტახტზე ავიდა. 1837 წ. სახელმწიფო შემოსავალი იყო 50 მილიონი სტერლინგი, ახლა კი 100 მილიონია. კაცის თავზე მოდის 1837 წ. 7 სტერლინგი, 19 შილინგი და 2 პენსი, 1896 წ. კი 2 სტერლინგი, 15 შილინგი და 5 პენსი.\*\*\*) გადასახადი გაზდილა, მაგრამ საინტერესოა ის, თუ რა გადასახადები გაიზარდა. აი ცნობები: ბაჟი საოჯახო ნივთებზე 1837 წ. კაცის თავზე მოდიოდა 13

\*\*) შილინგი—50 კაპ. პენსი—2 1/2 კაპ.



შილინგი და 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> პენსი, 1896 წ. კი 2 შილ. და 3<sup>1</sup>/<sub>4</sub> პენ., ღვინოზე, ლუდზე და სხვა სპირტულ სასმელებზე—1837 წ. 12 შ. და 2<sup>3</sup>/<sub>4</sub> პ. 1896 წ. 13 შ. 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> პ. თამბაქოზე—2 შ. 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> პ. და 5 შ. 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> პ. გადასახადი საკუთრების ჭ შემოსავლის 4 შ. 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> პ. და 1896 წ. 16 შ. 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> პ. მეტე მოდის მარკა, პოჩტა ღ „სხვა-და-სხვა“. როგორც ხედავთ, შემცირებულია ბაჟები საყოველთაო სახმარებელ ნივთებზე და გაძლიერებულია სპირტულობა-თამბაქოზე, რაც მიუცილებელ სახმარებელ საქონლათ არ ითვლება და ბოლოს ერთი ოთხთაი მომატებულია პირდაპირი გადასახადი შეძლებულ ხალხზე. რასაკვირველია, სახელმწიფოს შემოსავალთან ერთად იმატა გასავალმაც. რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, 1897 წ. ის იყო 850 მილიონი სტერლინგი, 1897 წ. კი 640 მილიონი.

შემა. ამ საერთო განვითარებამ გამოიწვია შრომის განვითარებაც. 1837 წლამდე ინგლისის მუშა ყოველად საძაგელ მდგომარეობაში იყო. იმას არ შეეძლო შეერთება, კავშირის შედგენა და პატრონებთან ბრძოლა. თუ რამე ასეთს მოიმოქმედებდნენ, ეს უთუოთ ფარულათ და ამიტომ სასტიკათაც ისჯებოდნენ. ქალები და ბავშვები ფაბრიკებში კაპიტალისტთა სრულ პატრონობის ქვეშ იყვნენ. საფაბრიკო კანონები თუ რამე იყო, ის მხოლოდ სახელათ, სისრულეში-კი არავის მოჰყავდა. ასეთმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ არა ერთხელ აამოძრავა მუშახალხი და ის იყო 1824 წ. ნება მისცეს დაეარსებიათ მუშათა საზოგადოებები (ტრედ-უნიონი). 1832 წ. ცოტა ოდენით გაფართოვდა საარჩევნო უფლება; დაიბადა ჩარტიზმი, იმოღვაწა რობერტ ოვენმა და სხ. და სხ. ყველა ამან გაარღვია შრომის წინააღმდეგ აღმართული ზღუდეები და მუშა-ხალხს მიენიჭა მეტი თავისუფლება. ტრედ-უნიონთა რიცხვი გამრავლდა და დღეს მათ წევრად ითვლება ერთ მილიონ ნახევარზე მეტი. გამრავლდა, აგრეთვე, ავადმყოფ და დაზარებულ მუშათა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოებები. ამ ჟამათ ამათი რიცხვია 24 ათასი, 8 მილიონ-ნახევარი წევრით და 30 მილიონი სტერლინგი ფონდით. წლიური შემოსავალი აქვთ 7 მილიონი სტერლინგი. ამასთანავე დაარსდა მრავალი კოოპერატიული ამხანაგობები. მუშათა ასეთ მოძრაობას თან გაჰყვა სახელმწიფოც. საფაბრიკო კანონმდებლობა გაძლიერდა. პირველათ ბავშვებს მიაქციეს ყურადღება. აღკრძალეს მათი დაქირავება მთა-მადნებში, წინანდელი სამუშაო დღე გაუნახვერეს და მათთვის სკოლაში სიარული სავალდებულოთ გაჰხადეს; ფაბრიკანტები აიძულეს, რომ ფაბრიკები ჰიგიენურათ მოეწყოთ ღ სხ. ყველა ამან ბავშვები აამალა როგორც ფიზიკურათ, ისე გონებრივ-ზნეობრივათაც. ათას ბავშვში ორთა შუა რიცხვით თითო იწონდა: 9 წლის—1837 წ. 51<sup>2</sup>/<sub>3</sub> ინგლისურ გირვანქას, 1873 წ. კი 58<sup>1</sup>/<sub>2</sub> გ.; ათი წლის ბავშვი 1837 წ. 57 გირ. და 1873 წ. 61<sup>1</sup>/<sub>2</sub> გ. 11 წლის—61<sup>3</sup>/<sub>4</sub> გ. და 66<sup>2</sup>/<sub>3</sub> გ. ხოლო 12 წლის 66 და 70<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირ. გაუმჯობესება ცხადია. ბავშვების მფარველობას მოჰყვა დედა-კაცების და მამა-კაცების მფარველობა. სამუშაო დღე უმთავრეს დარგებში განისაზღვრა 10 და 9 საათით. ბევრ ალაგას უკვე 8 საათთა შემოღებული. ამასთანავე მოიმატა დღის ქირა. სახელმწიფო თუ საქალაქო დაწესებულებებში სამუშაო დღე იშვიათათ წასცილდება 8 საათს. ამ ჟამათ ინგლისის 300 ქალაქის თვით-მართვე-

ლობას მოიჯარადრებთან კონტრაქტში შეტანილი აქვთ მუშებისათვის 8 საათის სამუშაო დღე და დღის ქირის მინიმუმი, რომლის ნაკლებს მოიჯარადრე მუშას ვერ მისცემს, ხოლო მეტს-კი. ამ მუხლების დარღვევით ირღვევა თვით კონტრაქტიც... საფაბრიკო კანონ-მდებლობის ასპარეზზე უკვდავ-ჰყო თავის თავი ლორდ აშლეიმ (Ashley). მე-30 წლებში ის იყო პარლამენტებში ერთად-ერთი მებრძოლი მუშათა მფარველობისათვის აი რას სწერს ის 1850 წ. თავის დღიურში: „ჩემდემტი წლის (1833—1850 წ.წ.) ბრძოლით მივიღე საფაბრიკო კანონები. შრომა 300 ათასი მუშის, ქალის და კაცის, გონიერ წეს-რიგში ჩადგა, 40 ათასი ბავშვს (ცამეტი წლის ნაკლებთ) ნება მიეცა დღეში სამისათი სკოლაში გაატაროს...“

ამნაირათ, ვიქტორიას მეფობაში ინგლისი გამძლავრდა ყოველ მხრავ, ეკონომიურათ, ფინანსიურათ, პოლიტიკურათ, სოციალურათ და სხ. ასეთ წინაგან გაძლიერებას თან მოჰყვა გარეგანი გაძლიერებაც. სივრცე ინგლისის სამფლობელოსი ერთი ორათ და ერთი სამათ გაფართოვდა: ამასთანავე ის გაბატონდა ზღვებზე და უძლიერესი საომარი ხომალდები შეიძინა. ერთი სიტყვით, უკანასკნელ 60 წელს ინგლისის შინაგანი და გარეგანი განვითარება უმღლეს წერტილამდე მივიდა.

და აი, ვის მფარველობის ქვეშაც ყოველივე ეს მოხდა, იგი დღეს აღარ არის! დედოფლის გადაცვალებას ღრმით იგლოვს მთელი ინგლისი და ეს იქნება წამდელი გლოვა ხალხისა...

ნ. ჟორდანია.

### მინაური მიმოხილვა

ქალაქის არჩევნები თან-და-თან ახლოვდება და ეს ჯერ-ჯერობით შესაფერ მომზადებას არ იწვევს. პარტიების ამოძრავება, საარჩევნო პროგრამების გამოკვლევა და სხვა ამისთანაები, როგორც ჩანს, ნადრევათ მიაჩნიათ. ასეთი გულ-გრილობა წინამძღოლთა, რასაკვირველია, გულ-გრილობას ბადებს თვით ამომრჩეველთა შორის. და აი სწორეთ საქიროა, კენჭის ყრაში, რაც შეიძლება, მეტმა მეკენჭემ მიიღოს მონაწილეობა. ამას ხელს უშლის განსაკუთრებით ის, რომ „ნედლომკები“ არ შეაქვთ თავის ღროზე და ასე ძალა-უნებურათ ჰკარგავენ კენჭის უფლებას. მოწინავე პირთა მოვალეობაა, ხალხს ჩააგონოს გადასახადების ღროზე გადახდა და მით რიცხვი მეკენჭეთა გაამრავლოს. ეს ყველაზე უფრო საქიროა ღარიბ და შეუძლო ამომრჩეველთათვის და, რადგანაც ასეთები უმეტესათ ოპოზიციის რაზმს შეადგენენ—ცხადია, ეს უკმაყოფილონი კმაყოფილთა უფრო ადრე და თან ენერგიულათ უნდა შეუდგენ თავისი რაზმის გაძლიერებას და დამზადებას. სოლოლაკელთა პარტიას, როგორც გავიგეთ, კიდევაც დაუწყია აგიტაცია თავისიანებთა შორის, შეიტანეთ „ნედლომკებიო“. ხოლო არასოლოლაკელებისა-კი ჯერ არა ისმის-რა.



ამ ჟამათ ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ სტუდენტების დახმარების შესახებ. თავის-თავათ ცხადია, რომ ღარიბ მოსწავლეს ხელის შეწყობა ესაქიროება—არის ის მაღალი, საშუალო, თუ დაბალი სასწავლებლის მოწაფე—

სულ ერთია. სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება კიდევაც დაარსდა ამ დღეებში, მაგრამ ბევრი ქართველი ამით არ კმაყოფილდება, ის საერთოთ კავკასიის არის და არა ჩვენი საკუთარი, ჩვენ ჩვენი საზოგადოება დავაარსოთო. ეს კიდევ უკეთესი იქნება, მხოლოდ კარგია სხვა ჩვენი „საზოგადოების“ ამბავს იკითხავდნენ და მერე მოაწყობდნენ საქმეს. და ეს ამბავი ის არის, რომ პირველ წელს მერე არც ერთ წევრს საწევრო ფული არ შემოაქვს და არც-კი კითხულობს დაწესებულების გარემოებას. ამისათვის, მოსალოდნელია, ქართველ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებაც ასეთ ყოფაში ჩავარდება და ისევ უკეთესი იქნება, იმ დიდ საზოგადოებაში მივიღოთ მონაწილეობა, სადაც არა მარტო ღარიბი ქართველია, არამედ სხვა ერის მდიდრებიც ეწერებიან. თვარა ამასაც ხელიდან გავუშვებთ, ვერც ჩვენსას დავიარსებთ და წინანდებურათ მშრალზე დავრჩებით.



ერთი სიტყვით, სტუდენტობას ასე იქნება თუ ისე დახმარება ეჭირება, მაგრამ ამასთანავე ნება მოგვეცით ვიკითხოთ: სად არიან, ან რას აკეთებენ ის სტუდენტები, რომელნიც კურსს ასრულებენ? „ივერიის“ ანგარიშით, რუსეთის ხუთი ქალაქის მაღალ სასწავლებელში 183 ქართველი სწავლობს, ამას თუ მივუმატებთ დანარჩენ ოთხ ქალაქსაც, გამოვა, რომ ქართველ სტუდენტთა რიცხვი 250 გააცილებს. ამათში ყოველ წელს 20 მაინც დაასრულებს კურსს. და მერე სად არიან ესენი, რომელ საზოგადო ასპარეზზე გამოდიან, რით უხდიან სამშობლოს დახმარებასა და თანაგრძნობას? სამწუხაროთ, ესენი უმთავრესათ მხოლოდ თავის პირად საქმეებს მისცემიან და, კერძო ცხოვრების გარდა, აღარაფერი აინტერესებთ. ასეთ გარემოებაში, სტუდენტობა ვერ დაემდურება ქართველობას, თუ ეს მის გაჭირვებას გულ-გრილათ უყურებს და, მართალი გითხრათ, ვერც ჩვენ მოვთხოვთ საზოგადოებას, უთუოთ დაეხმარე იმათ, რომელნიც მერე ზურგს გაქცევსო.

ღრო არის, ამას თვით სტუდენტობამ მიაქციოს ყურადღება და თავის თავი ისე აამაღლოს, რომ ზნეობრივი უფლება ჰქონდეს სამაგიეროს მოთხოვისა.



გაზეთების სიტყვით, შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს დაუწყია მუშათათვის საავათმყოფო კასის პროექტის შედგენა. ეს თავის-თავათ ჩინებული აზრია, მხოლოდ რანაირ განხორციელებას მიიღებს იგი, ჯერ არავინ იცის. ასეთი კასების სამშობლო გერმანიაა და კარგი იქნება, პროექტის შემდგენელნი იქიდან აიღებდნენ მაგალითს...



ჩვენში რომ ნიჭიერი მოღვაწის დაფასება არ იციან — ეს არ ახალია, ძველია, ამას კიდევაც შეეყრებით, მაგრამ, როცა ამ დაუფასებლობის მიზეზი შური და ინტრიგანობაა — ამის შეჩვენა ძნელია და არც სასურველია. და აი, სწორეთ ასეთი ინტრიგანობის მსხვერპლი შეიქმნა ჩვენი სახელოვანი არტისტი ბ. ვლ. მესხიშვილი. ის ეს ერთი ხანია თფილისის ქართულ თეატრში საგასტროლოთ მოდის და თითო ჩამოსვლაზე 75 მ. იღებს. ეს აბა რა ფულია ისეთი არტისტისათვის, რომლის

მოსელთა თეატრს ხალხით ავსებს და 4:0—500 მ. წმინდა შემოსავალს აძლევს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც ეს ეკალივით ესობოდათ თვალში და თავის გულის ნადები გაზეთშიაც გამოთქვეს: მესხიშვილს თფილისის თეატრი არჩენს, ბევრს იღებსო და სხ. ლ სხ; აი რითი შეამკეს „ცნ. ფურც.“ ახალ-წლის ნომერში ნიჭიერი არტისტი. მესხიშვილი ამათ ღირსეულ პასუხს აძლევს იმავე გაზეთის ოთხ-შაბათის ნომერში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იმ წერილში ღირსეულათ ეპყრობოდეს ის თფილისის საზოგადოებას არტისტი აცხადებს: ამიერიდან თფილისის თეატრში აღარ ვითამაშებო! მაგრამ ეს ხომ შეურაცხყოფაა იმ საზოგადოებისა, რომელიც მას ყოველთვის აღფრთოვანებით უხვდებოდა. შეიძლება ერთ-ორ ინტრიგანს მართლა არ უნდა მესხიშვილი თფილისში ჩამოვიდეს, მაგრამ ეს ხომ საზოგადოების აზრი არ არის? მესხიშვილის თფილისის სცენიდან გასვლა, — ეს ორაოდე შურიანთა სურვილის ასრულება იქნება და ამ განგებ დაგებულ მახეში თავის-ნებით ფეხის ჩაბიჯება — ვერაფერი წინ-დახედულობაა.

სხვა-და-სხვა ამბები

ღვლიობრივი გაზეთების სიტყვით, შორაპნის მუშათათვის მარგანცის მწარმოებელთა საბჭო შედგომია მუშათა საავადმყოფო კასის დაარსების პროექტის შემუშავებას. კასსაში ფულის შეტანა პროექტის დადგენილებით თვითეული მუშის სამუშაო ფასის დაგვართ განისაზღვრება. საავათმყოფო კასის მიზანია, დაეხმაროს თავის წევრს — მუშას, თუ იგი, ვინიცობაა, ავათ გახდა.



უკვე შედგა ახალი აქციონერული საზოგადოება, რომელმაც ფერგანის ოლქში, სახელდობრ უჩ-კურგანში, ქვა-ნახშირის წარმოებას უნდა მოჰკიდოს ხელი. ინჟინერების გამოკვლევით, სივრცე ქვა-ნახშირიან ადგილისა 39,35 ვერსი ყოფილა, ხოლო სიღრმე, რომელზედაც ქვა-ნახშირი ძვეს, ცხრა საყენამდე აღწევს. ახალი საზოგადოება შედგება უმეტეს ნაწილათ ფრანგებისაგან.



როგორც ვხედავთ, თან-და-თან ძლიერ კონკურენციას უწევს ქვა-ნახშირის ხმარება ნავთს. რუსული გაზეთების სიტყვით, სამხედრო უწყებამ 1901 წლისთვის უკვე დაიკვეთა 800,000 ფუთი ქვა-ნახშირი. ამბობენ, იმიერ კასპიის რკინის გზაც მალე, ნავთის მაგიერ, ქვა-ნახშირს იხმარსო.



თავად-აზნაურთა საზოგადოთ ყველა გადასახადი 1901—1903 წლამდე უდრის 150,000 მანეთს, ე. ი. თითქმის ორჯელ მეტს, ვიდრე წინა წლებში იყო (87,000 მან).



ქალაქის საბჭომ 7 იანვრის კრებაზე დაადგინა, გადახდეთ თითო შაური მოედნების დასაწმენდათ იმ სოფელეთ, რომელთაც თფილისში სოფლებიდან სანოვავე შემოაქვთ გასასყიდათ.





11 ამ თვეს ქართულ თეატრში დანიშნული იყო ბენეფისი ქალ. გაბუნია-ცაგარლისა. თეატრში ხალხის ტევა არ იყო, მობენეფისეს ალტაცებით მიეგებნენ და საჩუქრებიც მიაართვეს. წარმოდგენამ მწყობრათ ჩაიარა.

### ყოცა რამ სამეგრელოსა და მეგრელების შესახებ

(წერილი მეორე)

როგორ ნიადგზება სწავლა სამეგრელოში და რა მდგომარეობაშია ის? სამეგრელო ჩვენი ისტორიულ ცხოვრების პირველ ხანებში სპარსეთის როლის თამაშობდა საქართველოს ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ მოძრაობასა და ზრდაში; ის, დანარჩენ კუთხეებთან ერთად, ხელ გურიელი მუშაობდა. მაგრამ, საუბედუროდ, ათასგვარმა მიზეზებმა ხელი შეუწვეს სამეგრელოს ქართველთა კულტურულ კონცერტიდამ გამოთიშვას, მის ჩამოშლისას. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მიზეზები ბევრი იყო; მათ შორის ორი საკულისხმეა და დიდი შესანიშნავია.

ჩვენი ისტორიული ცხოვრება წარმოადგენს ერთ გამოდუმებულ, გაუთავებელ ამს მთავართა და ბატონთა შორის. კერძო ინტერესებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი მოუშარათეს საზოგადოებრივი ძარღვის ტემის შეჩერებას; ფეოდალურმა ხანამ საერთოდ არც-ი იცის შეგნებული ნაციონალური გრძობა და მეგრელების მთავარიც ხომ ამ ხანას შვილი იყო! ის სულ განზება, სულ ამბობს, სულ ჩხუბობს!.. ხან გურიელს გაჭკრავს კბილს, ხან შარვაშიძეს, ხან დადიშკელიანს, ხან რომელსაღე სხვა ერისთავს და ხან-კი თვით ბაგრატიონსაც. ასე ექცევა დადიანი შინაურებს. არც გარეულებთან არის ზავ-შეკრული. ახლა სახანოები და სათათრეთის ფაქიშკელი უმთავრესად კბილებს იღესავს მასზე. ამას თუ შინაურს, თვით მეგრელებში მომხდარ განსუთქილებებს დაუმატებთ, თქვენ წინ გადაიშლება მთელი პოლიტიკური სურათი სამეგრელოსა. ამგვარმა ცხოვრებამ სამეგრელო ჩამოშორდა საქართველოს და პოლიტიკური ცენტრის მოშორებამ-კი მეგრელებს გონებრივ ცენტრსაც დააცილა... მეგრელებს კულტურული ცხოვრება შეფერხდა და კიდევ ჩამოშორდა; ხოლო ჩრდილოეთის ბუმბერაზთან შეერთებამ დაუბრუნა მას დაკარგული ცენტრი. ამისთანა პირობებში ჩაყენებულ ერს მეტი პატივი უნდა, ის თხოვლობს უფრო კარგ, გაკაფულ გზას. ნამდვილი ინტელიგენტი მეგრელებში ძლიერ მცირეა. და თუ ვინმე მუშაობს ხალხის საკეთილ-დღეობით, ეს მდვილი, თითო-ორი მასწავლებელი და... — ძლიერ მიჭირს სხვა ვინმეს დასახლება. საზოგადო ასწარებსაც არ მიუღია ჯერ შესაფერი სახე.

საზოგადო ცხოვრება მეგრელებში ტრიალებს სკოლის და ბიბლიოთეკის გახსნის გარშემო. საუბრადღებოა, რომ ამ მხრივაც ძლიერ ცოცხალ გაკეთებული აქ. თამაშად შემიძლია ვთქვა, რომ „პატარა ამერიკა“ — ხონი — თავის სკოლებს მთელი მეგრელების სკოლებში არ გასცვლის. თვით დაბა-ქალაქებში ძლიერ ბურჯავს ორიოდე სასწავლებელი. ბიბლიოთეკების საქმე ხომ ერთიანად წასულია. არის რამდენიმე, მაგრამ სასურველად ვერ არის მოწოდები! არ არის დასავიწყებული ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში აქ-იქ წარმოდგენებაც მართავენ. ერთ ამგვარ წარმოდგენას დაგვსწავნი მე და ძლიერ მისიამოვნა საზოგადოების სიმრავლემ და მისმა გაფაციცებულმა ურადლებამ.

სწავლის საქმე ვერ არის სამეგრელოში სასურველ ნიადგზე... ხალხი უხერხულ და არა სასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდა; შეიგნო სწავლის გეგმა, იცის, რომ „სწავლა“ სინათლეს და უსწავლელობა — სიბნელე“, მაგრამ... ასეთ პირობებში მეფე მეგრელები თავის შვილს ქუთაისში ჰგზავნის, მარა ყველას შეუძლია ასეთი ხარჯის გაწევა? უმრავლესობამ სახლშივე მონახა, „გასავალი“ და ეს „გასავალი“ განლაგო სამეგრელო სკოლები.

დასახლებულ სკოლებში წელს ნება დართულია ქართული ენა და თავისი სიმშატია იმითიც გამოუცხადა ამ სკოლებს ხალხმა რომ მეტი სიამოვნებით იარსებს მას. საუბედუროდ, უკანასკნელი ტიპის სკოლები საგნებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას და ეს ადვილი ასახსნელიცაა. სამინისტრო სკოლებთან შედარებით, სამეგრელო სკოლები ქონებრივად უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენებული. მასწავლებელთა ჯამგირი უმეტესად დამოკიდებულია მოსწავლეთა სიმრავლეზე და მეტი იცით სადამდინ ადის ჯამგირი? 15 — 20 მანეთამდის; თუ ოც-დახუთი მანეთი ერგო მასწავლებელს, ის ბედნიერად ითვლება. ამ „ჯამგირით“ ხალხის კანმანათლებელმა თავიც უნდა გამოიკვებოს, ხშირად შუა, სანთელი იფილოს და ბინაც იქირაოს, მოხუც დედ-მამას და მშიერ და-ძმას მიავლოდოს ორიოდე კროში. წარმოიდგინეთ, რომ მასწავლებელს ცოლ-შვილი ჰყავს! ნამდვილი გვირგვინი უნდა იყოს ადამიანი, რომ მასწავლებლობას შეერჩეს. და აი, კიდევ ამიტომ ხდება მასწავლებელთა თან-და-თან „ემიგრაცია“. ისინი სტოგებენ თანამდებობას და ან სხვა უწყებებში გადადიან, ან კიდევ კერძო საქმეს ჰკიდებენ ხელს. ასეთი მავალითი არა ერთი და ორია.

არც მასწავლებელთა კონტინგენტი აკმაყოფილებს პედაგოგიურ მოთხოვნილებას. ჩვენ აქ ვლანარკობთ საერთოდ და სახეში არ გვყავს ის რამოდენიმე მასწავლებელი, რომელნიც მადლობის ღირსნი არიან საქმის ჯეროვანად დაუქმებისათვის. მასწავლებლობს სამეგრელო სკოლებში ყველა: სასულიერო, სამოქალაქო, ან ნორმალურ სასწავლებელ დამთავრებული, კვლევისის „პრინტი“, სკოლიდან გამოცხადებული და სხვანი. არიან, რასაკვირველია, ორიოდე სემინარიელიც. ჩვენ სრული დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს პირნი შრომობენ, მეცადინეობენ, მარა განა ზემოთ-აღნიშნულ პირობებში ჩაყენებული ადამიანი ადვილად გავა ფიქსს?

აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ ცოტათი გამოფხიზლდა ხალხი: სამეგრელო სკოლებს პატრონები გამოუჩნდა, ქონებრივად და პედაგოგიურად გაუმჯობესებას ხელი მიჰყვეს!..  
ვ. შავლია.

### რუსეთის სხმეობები

ღმ წელიდან ძალაში შევიდა ახალი სადერბო გადასახადის დებულება. რადგანაც ათის წლის (1887--1897 წ.) გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ოთხ-აბაზიანის მარკა საქმის ქალაქებზედ სახმარებლად საკმარებელს ხარჯს შეადგენს მცხოვრებთა მომეტებული ნაწილისათვის, ამიტომ ეს ფასი შეცვლილია: უმთავრეს შემთხვევაში ოთხ-აბაზიანის ნაცვლათსამ-აბაზიანის მარკა იქნება; აგრეთვე ფასი აქვს დაკლებული ზოგიერთ სადერბო ქალაქებს.

ფინანსთა სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება სამხან-კ-სართავ-საფეიქრო სკოლისა მუშათა და მუშათა შვილებისათვის ზეტერბურგში. ამ სკოლის დაარსება და ხელ-მძღვანელობა უკისრნია ცალკე საზოგადოებას, ფული მზათა აქვთ და შენობასაც მალე ააშენებენ. იქ კურს-დამთავრებულ მუშებს უზი-რატესობა ექნებათ სხვა მუშებთან შედარებით; მხოლოდ იმ ხნიერ მუშებისათვის, რომელნიც სკოლაში ვერ შევლენ, იქვე დაასრულებენ საკვირაო სკოლას.



ტუული გამოდგა ის ხმა, ვითამ ქალებისთვის უფ-ლება მიენიჭებოთ სადგურის უფროსობისა; ეს-კი მართალია, ამბობენ გაზეიბები, რომ ზირველ იანგრიდან ქალებს მისცემენ ადგილებს შემოსავალთა კონტროლში (ВЪ КОНТРОЛЬ СБОРОВЪ) მოსამსახურე ზირთა რიცხვის 30 ზროცენტს; სულ განთავი-სუფლდება მათთვის 2640 ადგილი.



რადგანაც აქამდის რკინის გზის სადგურებზე ძალიან დიდს საკომისიო ფულს ახდებდნენ საქონლის ფას-დადებითი გაზაფხინისათვის ასე, რომ ვაჭრები იძულებულნი იყვნენ ამ საქმის გამო სხვა უფრო იათ-ფასიან დაწესებულებისათვის მიე-მართათ ხელე, ამიტომ ახლა რკინის გზის საქმეთა დეპარ-ტამენტმა სახელმწიფო რკინის გზის მმართველობას აცნობა, რომ 1901 წლის ზირველ იანგრიდან საქონლის გასაგზავნად ფას-დადებითი და საკომისიო გადასახადი შემცირებულია და უნდა გადახდებოდნენ შემდეგის წესით: ფას-დადებითი ცალკე გასაგზავნი, თუ 200 მან. არ აღემატება, მანეთზე 1/2 კან. გა-დაჭნდება; 201 მ.—ვიდრე 1,000 მანეთამდე—1/4 კან. 1001 მან.—ვიდრე 2,000 მან.-დე. ცალკე გასაგზავნზე 2 მ. 50 კ.; თუ გასაგზავნი 2,000 მანეთის საფასურს აღემატება, მაშინ მანეთზე 1/2 კან.



გარეშე საქმეთა მინისტრათ დაუმტკიცებულ იქმნა გრაფი გ. ნ. ლამბდოროფი.



რუსთა ბეჭდვითი საქმის მშრომელთა საზოგადოებას ლა-ზარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ ზეტერბურგში განხილულ იქმნას უფასო თავ-შესაფარი სტამბის იმ მუშებისათვის, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო ადარ შეუძლიანთ სსსტამბო მშრომის განგრძობა. ამ თავ-შესაფარის შენახვაში მონაწილეობას მიიღებენ ზეტერბურგელი ყველა მესტამბეები, რომელთა რიცხვი ორასზედ მეტია. თავ-შესაფარის ზროცეტი მზათ არის და, როდესაც ზემოთ მოხსენებული საზოგადოება განი-ხილავს, მერე დასამტკიცებლათ წარადგენენ.



ხარკოვის ნოქართა ურთიერთ-დამხმარებელმა საზოგადოე-ბამ დაასრსა „მშრომის ბიურო“, რომელიც მოთავსებულია ამ-ხანაგებისავე შენობაში. ბიუროს დანიშნულება უმთავრესად ის არის, რომ შუამავლათ გაუხდეს ნოქრის დამჭერთა და სა-ზოგადოების წევრთ-ნოქართა, რომელთაც სამუშაო ვერ უშოფ-ნიათ. ვისაც ჭსურს იშოფოს რამე ადგილი, ან საქმე, ჩაეწერე-ბა ბიუროში და მერე-კი ბიუროს საშუალებით იშოფნის ად-გილს, რადგანაც მოსამსახურის მძებნელებს სწორეთ ამ ბიუ-როს მიმართვენ. იგივე ბიურო შედარებით ძალიან მცირე ფა-სად მიიღებს სხვა-და-სხვა საკანტორო სამუშაოს. სადაც ასეთი ბიუროა, ყველგან კეთილი ნაყოფი მოაქვს.



ხარკოვი ქუჩაზედ „ბოსიაკებს“ უნახავთ ამხანაგებისა-გან მიტოვებული და შიმშილ-წუურვილისაგან დაბნელებილი-ლიელი მემუსიკე, რომელსაც რუსული ერთი სიტყვაც არა სცოდნია და, მაშასადამე „ბოსიაკებსაც“ მისი ვინაობის ვერა შეუტყვიათ-რა. მაინც წაუყვანიათ ტრაქტორში, წარუდგენიათ ამხანაგებისთვის და აქ კარგათ გამოუძლიათ. კიდევ უკითხავთ, ვინ არის, სადაურია, მაგრამ ვერაფერი ვერ გაუგიათ. მერე ერთს წა-მოუძახნია: „კე იტალიელია, იტალიაში გავისტუმროთ“. მართლაც, ყველაფერი მოუფიქრებიათ „ბოსიაკებს“. იმ და-მესვე გაუცარცვიათ რკინეულობის მდარია, წამოდებული ია-რადი გაუიღნიათ და ადებული ფულით ის იტალიელი მემუ-სიკე გაუსტუმრებიათ სამშობლოში.

## საზღვარ-გარეთ

**საფრანგეთი.** საფრანგეთში კიდევ დიდი ბრძოლაა რეს-ზუბლივის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. ამ ჟამათ ვალდეკ-რუსოს რადიკალური სამინისტრო კლერიკალთა წინა-აღმდეგ არის ამხედრებული და ახალი კანონ-ზროცეტით სურს მათი კონგრეგაციების (სასულიერო ძმობა) ზოლიტიკაში ჩა-რევა შეზღუდოს. ამ კონგრეგაციებს, ფინანსთა მინისტრის გამოკვლევათ, ერთ მილიარდ ასი მილიონის უძრავი შეძლება ჰქონია და მოძრავი კიდევ სხვა. აი ამოდენა შეძლებას ისინი რესზუბლივის სამტროთ და მონარქიის საარკებლათ ხმარობენ. ასეთი „ძმობის“ დაარსება დღემდის თავისუფლათ შეეძლოთ, ახალი ზროცეტით კი-ეს შეზღუდულია, საჭიროა ზარღმენტის და სენატის განსაკუთრებით ნება-რთვა. ამისათვის კლერიკა-ლები, ეს თავისუფლების მუდმივი მტერნი, ახლა თავისუფლე-ბაზე ყვირიან, რესზუბლიკა სობს ადამიანის თავისუფლებას, საჭიროა ის დაცულ იქმნასო, ე. ი. როცა მათ თავისუფლება მოუხდებათ—თავისუფლებას თხოულობენ, ხოლო, როცა ის სხვებს მოუხდებათ—თავისუფლების შევიწროებას ქადაგებენ. ასეთია კლერიკალთა ღოდიკა, მაგრამ მათ ემხრობა ბევრი ზომიერი რესზუბლიკელი, რომელთაც ვალდეკ-მილიერანის რა-დიკალობა არ მოსწონთ. იმათის აზრით, საფრანგეთს მეტი საფრთხე მოეღის სოციალისტებისაგან, ვინემ კლერიკალებისა-გან. „მას შემდეგ, რაც მილიერანი მინისტრია, სოციალიზმი ძლიერ ვრცელდება ხალხში“—სწერს ბარტუ ერთ გაზეთში. ამის ხასუსათ ლიბერალური „Siècle“ ამბობს: „მილიერანის სამინისტრო ზირდაზირი შედგია მედინის სამინისტროსი, იმ მედინის, რომელიც ასე მოარველობდა დიდ მრეწველთა და მე-მამულეთ. ცხადია, ასეთ ზოლიტიკას უნდა გამოეწვიოს წინა-აღმდეგი ზოლიტიკა, ე. ი. მუშათა მთავრული სამინისტრო. თუ კი სახემწიფო ერთხელ ნატრონების მხარს დაიჭერს, რა-ტომ მას მეორეჯერ მუშების მხარის დაჭერა არ შეუძლია? სოციალიზმი, რასაკვირველია, დიდი საფრთხეა, მაგრამ გაცი-ლებით უფრო საშიშარია კლერიკალიზმი. ზირველი უოველთვის იცავს რესზუბლიკას, ხოლო მეორე-კი უოველთვის ებრძვისო“. ამ ნაირათ, საფრანგეთის ზარტიათა განწყობილება დღეს ასეთია: ერთი მხრით დგანან კლერიკალები, მონარქიელები, ანტი-სემიტები და ნაციონალისტები, მეორე მხრით-კი—ზროცრესი-სტები და სოციალისტები. რესზუბლიკელთა უმრავლესობა, დღეს კლერიკალებისაგან დაშინებული, ვალდეკ-მილიერანისკენ არის, ხოლო უმრავლესობა—სოციალიზმისაგან დაშინებული, კლერი-კალთ ემხრობა. ზირველს მეთაურობს დღევანდელი მინისტრ-ზრე-



ზიდენტო, მეორეს კი წინანდელი მინისტრ-პრეზიდენტი — მედინი. ზარტიათა ბრძოლა დღეს უმთავრესათ ამ ორი ჯგუფის ბრძოლაა. უკანასკნელმა კენჭის ურამ ზარტიაში მთავრობას არგუნა 316 თეთრი და 192 შავი. ამ რიგით, ვალდების სამინისტროს ამა-გრებს კლერიკალთა მოძრაობა და როგორც-კი ეს უკანასკნელი შესუსტდება და მათი შიში აღარაფრის ექნება, ვალდების კაბინე-ტის დღეებიც დათვლილი იქნება.

**გერმანია.** დეკემბრის 27 გერმანიის ახალმა კანცლერ-მა პრუსიის ლანდტაგში ასე განმარტა თავისი სოციალურ-ეკო-ნომიური პროგრამა: „მე მსურს, შეძლებისამებრ, შევარტო ინტერესთა ის საშინელი განსეთქილება, რომელიც დღეს ჩვენ-ში არსებობს. მე კარგათ ვიცი, რომ ასეთი შეპირებულნი პოლიტიკა, რომელიც უარყოფს ერთიან დახმარებას მეორის ხარჯით, ძნელი განსახორციელებელია, მაგრამ მე მაინც არა-სოდეს არ ვუღალატებ ჩემს წმინდანს, რომ ნაციონალური ორ-განიზმის ერთ-ერთი ნაწილის მწუხარება მთელი ორგანიზმის მწუხარებაა და განსაკუთრებით-კი თუ ეს მიუცილებელი ნაწილია, როგორც, მაგ. მეურნეობა. მთავრობის მოვალეობაა, ერთიან-რათ დაეხმაროს როგორც მეურნეობას, ისე ვაჭრობა-მრეწვე-ლობას. განსაკუთრებით-კი მეურნეობა საჭიროებს ძლიერ მთავ-რელობას. არაფერი ისე არ დაგვასუსტებს ნივთიერათ, რო-გორც მეურნეობის და მრეწველობის ინტერესთა დაზიანებრე-ბა... მეორე მხრით, პრუსიის აღმოსავლეთ ნაწილის წყლის არხით შეკავშირება დასავლეთ ნაწილებთან და მასთან შინაური მეურნეობის მადლი ბაჟებით დაფარვა უცხოეთისაკენ — ასწავს ჩვენს მიწათ-მოქმედებას და მასთან ერთად მთელ გერმანიას“.


ამ პროგრამამ დიდი მითქმა-მოთქმა დაბადა პრესაში. კონ-სერვატორები (პრუსიის შემამუღენი) იწონებენ ბაჟების მომატე-ბას და მით პურის გაძვირებას; სამაგიეროდ აწუნებენ არხების გაყვანას, რადგანაც პრუსიის სამეურნეო ნაწარმებს სხვა პრო-ვინციათა სამეურნეო ნაწარმები შეეცილება. ლიბერალები დი-დათ ეწინააღმდეგებიან ბაჟების მომატებას, რადგანაც ეს გა-მოიწვევს პურის მწარმოებელ სახელმწიფოებისაკენ (რუსეთი, ამერიკა და სხ.) ბაჟების მომატებას გერმანიის მრეწველობის ნაწარმებზე. ბაჟების მომატებას ეწინააღმდეგებიან აგრეთვე მუშები, რადგანაც ეს პურს აძვირებს. აი რასა სწერს „ფორ-ვერტი“: „ბიულავის სავაჭრო პოლიტიკა დიდ საშიშროებას წარმოადგენს მუშა-ხალხისათვის. მას სურს ინტერესთა წინა-აღმდეგობა მთავრობის სურსათის გაძვირებით. პროლეტარიატი მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა შეებრძოდეს ამას. ამ ,,ხალხის“ ინტერესთა შეთანხმებაში ბიულავის სწორედ ხალხ-დავიწეებისა“.

**აშხატრია.** ეს ერთი თვეა, ავსტრიაში წარმოებს ზარტია-მენტის არჩევანი: აქ დეპუტატებს ირჩევენ ხუთ-ნაირათ. ერთ ნაწილს შემამუღეები, მეორეს — ვაჭარ-მრეწველნი, მესამეს — ქა-ლაქები, მეოთხეს — სოფლის ერობები და მხოლოდ მეხუთე ნა-წილის არჩევა ხდება საყოველთაო კენჭით. ამ შემთხვევაში კენჭის უფლება აქვს ყველა სრულ-წლოვან მამა-კაცს. ამისა-თვის ამას უწოდებენ ხალხის ნაწილს. აქ განსაკუთრებით ორი ზარტია იბრძვის: სოციალ-დემოკრატები და კლერიკალები. 1897 წ. არჩევნებში ვენაში დამარცხდნენ შირველნი და გაი-მარჯვეს მეორეებმა. სამაგიეროდ წელს კლერიკალები დამარ-ცხდნენ და სოციალ-დემოკრატები გადეთრდნენ. 1897 წ. სო-ციალ-დემოკრატებმა მიიღეს 88,000 თეთრი, წელს კი 96,000.

ამ გარემოებას რამდენათმე ხელი შეუწყო „ინტელიგენტთა“ ზარტიაში. ეს ზარტია შედგება განსაკუთრებით ვენის პროფე-სორების, ადვოკატების, ექიმების და სხვა ნასწავლთაგან. ესენია ლიბერალ რადიკალები და აქვთ საკუთარი პოლიტიკური პროგრამა. წელს მათ გამოსცეს პროკლამაცია და ვენის ინტელი-გენტის ურჩევდენ მუშათა კანდიდატის გათეთრებას და კლერი-კალთა კანდიდატის გაშვებას. აი მოწოდება: „ინტელიგენტებო! მეხუთე საარჩევნო ნაწილი, სამართლით, მუშებს ეკუთვნის. იმათ უფლება აქვთ ზარტიაში მთავისი კაცები გაგზავნონ. სამართლიანობა მოითხოვს, ჩვენ დავეხმაროთ მუშებს და თა-ვისი წინამძღოლნი ზარტიაში გავაგზავნიანთ. ზარტიაში მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი ხალხის წარმომადგენელი. გარდა ამისა, ჩვენ ყველა თავისუფლების პრინციპს ვემსახუ-რებით და აი ამას ემსახურება მუშათა ზარტიაც. ეს უღვას სათავეში იმ მოძრაობას, რომლის მიზანია მოიპოვოს ლიბე-რალური დაწესებულებები როგორც, მაგ., ზარტიაშის ხელ-შეუხებლობა, ყრილობის და პრესის თავისუფლება, და სხ. ჩვენი ბურჟუაზია გაიტაცა კერძო ინტერესებმა და ყველა ამას გულ-გრილად უყურებს. ვენის ბურჟუაზია, ცოტადენი გამო-კლებით, რეაქციას ემსახურება... მაშ; გათეთრეთ ერთ-ერთი თავისუფალ მოაზრეთა — მუშათა — კანდიდატები!“. ხელს აწერს ვენის უნივერსიტეტის ექვსი პროფესორი, ხუთი ადვოკატი და ამოდენივე ექიმი და მოსამართლე. ვენაში, მართლაც, სოციალ-დემოკრატებმა მოიგეს, მაგრამ ჩვენაში რამდენიმე ადგილი დაჭკარეს, აქ იბრძვიან ახალ-გაზდა ჩხელები, სოციალ-დემო-კრატები, ნაციონალისტ-მუშათა ჯგუფი და ნემეტ-ნაციონა-ლისტები. სოციალ-დემოკრატებს წართვა ნაციონალისტ-მუშათა ჯგუფმა ზრგა და შილზენი. ამავე ჯგუფმა რა-დენსამე აღაგას დამარცხა ახალ-გაზდა ჩხელები. სოფლებ-ში-კი განსაკუთრებით კლერიკალებმა გაიმარჯვეს. მომავალ ზარტიაში წევრთა რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის გამორე-კეული.

**ბოლიტიკური მიმოხილვა**

**ინგლის-ტრანსვალის ომი.** სწორეთ გასაშტერებელია ბურების თავ-განწირულება. აგერ წელიწადზე მეტი ხანია, რაც ეს ერთი მუჭა ხალხი უძლიერეს სახელმწიფოს — ინგლისს — ებრძვის და, თუმცა ერთ-ხანს მისი ძალა თითქმე მოტყდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მან წინანდელზე არა ნაკლები სიმამ-ცით განახლდა ბტერთან ბრძოლა. ბურებს ამ უკანასკნელ ხან-ში მრავალგან ჭქონდათ სასტიკი თუმცა ზატარ-ზატარა შეტა-კება ინგლისელებთან, რომელნიც ამ ჟამათ მათს საკუთარ სამთავრობოებში — კაპის ახალ-შენში — შეესივნ, და იმის მიუ-ხედავად, რომ უმეტეს ნაწილათ ბრძოლის ველიდან დამარცხე-ბულნი გამოდნენ, მაინც იმავე სიმხნით განაგრძობენ ომს. ამას წინათ, მაგალითათ, როგორც ინგლისელთა მთავარ-სარ-დალი კიტჩენერი იუწეებოდა, ბურებმა ერთსა და იმავე დროს იერიში მიიტანეს ინგლისელთა ჯარებზე ხუთ-ექვსს ადგილას, ბელფასტში, ბენდერფონტენში და სხ. ცხარე ომის შემდეგ ბურები უკუ-ქცეულ იქნენ საკმაოდ დაზარალებულნი. ბურების წათამამებას ომში ხელს უწყობს ის გარემოება, რომ, როგორც ისმის, ამ ჟამათ თითქმის მთელი კაპის ახალშენი აჯანყებულია და იქაური მცხოვრები ჭოლანდიელები (აფრიკანდერები) მათ აშკა-რათ უერთდებიან ინგლისელებთან სამხრათ. თავიანთ კონკრეს-ზე, რომელიც 15 დეკემბერს მოხდა, აფრიკანდერებმა დაად-



გინეს გამოუცხადონ კანის ახალშენის გუბერნატორს: 1) რომ სამხრეთ აფრიკაში მშვიდობიანობა არ დამყარდება, თუ აღიარებული არ იქნება ზესუბულიკის დამოუკიდებლობა; 2) რომ კანის ახალშენის კლდისტვის სურთ თვითონ განაკრძონ თავიანთ საქმეთა მართვა-გამგეობა და წინააღმდეგობას უცხადებენ ბრიტანიის მთავრობას და 3) რომ ეს მოთხოვნები უნდა წარედგინოს დელოფალს.

ახალშენის გუბერნატორმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადა და აი სწორეთ ამის შემდეგ შეესივნ ბურები ახალშენს. აქ ესენი ამ ჟამათ აღარაფერს ინდობენ და რაც კი წინ ხვდებათ, ვეგაფერს ახსენებენ: ანგრევენ რკინის გზებს, დუქნებს, ტელეგრაფს და სხ... ახალშენის ვეგაფა ოჯახები, გარდა რამდენიმესი, შეიარაღებულ იქმნა. ამასთან, როგორც ისმის, ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს კიდევ შეადგინოს ძლიერი რაზმები აფრიკაში გასაყვანათ და ამას გარდა ისევ გაიწვიოს მილიციის რამდენიმე ბატალიონი. როგორც ხედავთ, ინგლისის მთავრობას თითქმის არ ბეზრდება ომი, მაგრამ, ერთი გაზეთის სიტყვით—ინგლისში უფრო მხრივ ჩნდება ომით დადასტურების ნიშნები თითქმის სამხრეთ-დასავლეთის შორისაგ-კი. მრავალჯან აქ ამ ჟამათ მანიფესტაციები და მიტინგები იმართება ომის საწინააღმდეგოთ. ერთ ასეთ მიტინგზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სათემო პლატის დეპუტატები და მრავალი გავლენიანი პირი, დადგინდ იქმნა გამოუცხადონ მთავრობას იმის იმედი, რომ ის ისეთ საზავო პირობებს დაუდებს ბურებს, რომლის დირსიც არის ეს მამაცი კრი, თავის უფლებათა ასე თავ-გადადებათ დამცველი. მაგრამ ეს, რასაკვირველია, მხოლოდ სურვილი, განსაზღვრ. ინგლისის მთავრობა-კი, რომელსაც ასე ძვირათ დაუჭდა ბურებთან ბრძოლა, აგრე ადვილათ ვერ შესრულებს ამ სურვილს. მისი ჩაგონებით, ალბათ, კანადის პრემიერმა ვ. ლორიემ წინადადება მისცა ტრანსვაალის მთავრობას შედგენილ იქმნას სამხრეთ-აფრიკის ფედერაცია ინგლისის სიუზერენობის ქვეშ. ტრანსვაალის მთავრობა, რა თქმა უნდა, ფიქრათაც არ გაიფლებს ასეთი წინადადების მიღებას, რადგანაც მას ჯერ კიდევ იმედი აქვს ბურების იარაღისა და სახელმწიფოთა ჩარევისა, თუმცა, როგორც ხმა ღვლის, ზოგიერთი მეკობრეები ურჩევენ კრიუკერს, საჩქაროთ ჩამოაგდე ზავი.

**ჩინეთი.** როგორც იქნა, ცუნმა და ლიხუნჩანგმა ხელი მოაწერეს სახელმწიფოთა საერთო ნოტას, რომლის შინაარსი უკვე მოყვანილი იყო „ვეგაფი“ (იხ. № 51). ხელის-მოწერას აგვიანებდა ჩინეთის სასახლე, რომელიც ორ დასათ გაიყო საზავო პირობების შესახებ. რასაკვირველია. ნოტის არც ერთი მუხლი არაფრათ ეპრინებოდა ჩინეთის მთავრობას და სამხრეთ-პროვინციების ვიცე-გუბერნატორები პოელი ნოტის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებით მეორე მუხლმა გამოიწვია წინააღმდეგობა, რადგან ეს მუხლი მოითხოვს გაცილებით უფრო მრავალ პირობას დასჯას, ვინემ მოხსენებელი იყო სექტემბრის იმპერატორის ბრძანებაში. ეს წინააღმდეგობა სასახლიდან დეპუტით ეუწვა ცინს, მაგრამ უკანასკნელმა მისი მიღება შეუძლებლათ დაინახა, რადგან ელჩები არავითარ საწინააღმდეგო პასუხს არ ისმენდენ, სანამ საბოლოო პასუხი არ მიუვიდოდათ.

არა ნაკლებ საძნელე იყო ჩინეთისათვის ამ პირობაზე დათანხმება, რომლის მკაცრითაც საეჭიროებთან უნდა დაარსდეს მუდმივი სადასჯო. ამ მუხლის წინააღმდეგო იყო თვით ჩინიც, იმპერატორის ძმა, რომლის ბატონ-საცემათ გერმანელები, როგორც დეპუტა იუწებოდა, პარადის გამართვას აპირებდენ. საუ-

რადღებოა ჩინის შეხედულება ჩინეთის საქმეებზე. „დიდი მუხტის“ მოძრაობას ის ბატონოტულ მოძრაობას უწოდებენ. უკლები, თქვა მან, დიდ ხანს ცდილობდენ მოეპოვებიათ ჩინეთში საფარო პრივილეგიები და, მოიპოვეს რა, ამით სარგებლობას ხსენს, გამდიდრდენ და თავს მოახვიეს ჩინეთს არა ხელ-საყრელი ხელ-შეკრულებანი იმ მუქარით, რომ თუ უარი მივიღეთ, ჩინეთს საუკეთესო ადგილებს წავართმევთ. ჩინელები, — დაუმტა ჩუნმა, სრულიათაც არ მოქცეულან იმაზე უარესათ, ვინემ ფრანგები მოიქცენ დიდი რეფლიუციის დროსაო.

ასეა თუ ისე, სახელმწიფოთა საერთო ნოტა ახლა უკვე ხელმოწერილია ჩინეთის რწმუნებულთა მიერ, მაგრამ ჯერ მანინ ნაკლები საბუთი გვაქვს, რომ ჩინეთის საქმეების საბოლოო დამოშინებას მოველოდეთ. ის იყო ჩინეთის რწმუნებულთ ნოტას ხელი მოაწერეს, რომ იმპერატორმა მათთან დეპუტა აფრინა, რომელითაც ის სურვილს აცხადებს, რომ ტაკუს ტინე-სიმანგრეები არ იქმნენ დანგრეული, რომ იარაღის შეტანა ჩინეთში აკრძალულ იქნას მხოლოდ განსაზღვრულ ვადამდე და სხ. აქედან აშკარაა, თუ როგორ გაუძნელდება ჩინეთს ნოტაში მოხსენებელი პირობების ასრულება და როგორ ნაძალადევა მისი ამ პირობებზე დათანხმება... ეს კიდევ არაფერი. ჩინეთის საქმეთა დადასტება რომ ჯერ ადრეა, ამას აშკარათ გვიტყვიან შემდეგი განმარტება. გაზეთები იუწებობან, რომ რუსეთმა ხელშეკრულობა დაუდგა ჩინეთს, რომლის ძალითაც მანჯურიაში უნდა აღდგენილ იქმნას ჩინელთა მართვა-გამგეობა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ამ ამბავმა უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო ინგლისისა და გერმანიის, არამედ საფრანგეთშიც-კი. ზოგიერთი გავლენიანი გაზეთების აზრით, რუსეთის ასეთი საქციელი გამოიწვევს სხვა სახელმწიფოების მხრივ ჩინეთის დანაწილების სურვილს და ეს, რასაკვირველია, კიდევ უარესათ აწეწავს საქმეებს.

მეოცე საუკუნის გარაყრაყებაზე \*)  
(წერილი ბრიუსელიდან)

**ყ**ველა დაწინაურებულ ქვეყნების მუშა-ხალხი სალამ აძლევს მეოცე საუკუნეს, სიხარულით და აღტაცებით ეგებება მის მოსვლას. ის დარწმუნებულია, რომ ამ საუკუნეში უნდა განხორციელდეს მისი გულის ნადები, მისი იდეალი, მისი უკეთილ-შობილესი და უალრესი მისწრაფებანი. ხალხი დარწმუნებულია, რომ ამ მისწრაფებებშია მთელი საზოგადოების განვითარება-წინსვლელიობის ინტერესები, რომ ამ მისწრაფებამ უნდა მისცეს კაცობრიობას უკეთესი მერმისი და ეს უნდა განხორციელდეს მეოცე საუკუნეში. დიახ, მეოცე საუკუნე უნდა განიცადოს საზოგადოებრივი ცვლილება უხსოვარი და შეუღარებელი მთელ განვლოლ ისტორიაში.

წარსულ დროთა მოგონებაზე უსათუოთ შეგვაჩერებს თვისი სიდიადით ის ხანა, როცა მუშა ხალხის

\*) მეოცე საუკუნეს ერთ ქვეყანაში თვლიან 1900 წლიდან, მეორე ქვეყანაში—1901 წლიდან; ერთსა და იმავე ქვეყანაშიც სხვადასხვაობს აზრი ამ საგნის შესახებ; ასე რომ კითხვა, თუ როდის დაიწყო მეოცე საუკუნე, დღეს სადაო არის. ჩვენც სადაოთ დავტოვოთ; მით უფრო, რომ მე-XIX-ტე საუკუნე ვეღარ დავგვიმდებოდა, რადგან ის უკვე ისტორიას ჩაბარდა, ვერც მე-XX-საუკუნეს ვთქმის საყვედური, რადგან მას ისედაც დიდი მანძილი აქვს გასავლელი.





წყვილიაღით მოცულ ცხოვრებაში პირველათ შეაშუქა სინათლემ, როცა დაიმსხვრა საუკუნოებით გაქვდილი ბატონ-ყმური ბორკილები და მშრომელი-ნივთი გადაიქცა მშრომელ-ადამიანათ; როცა მშრომელს მიენიჭა მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებები და მით გადაიქცა საზოგადოების ცნობიერ და აქტივურ წევრათ. მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი აზრი და მნიშვნელობა მდგომარეობს იმ საზოგადო პროცესში, რომელმაც მშრომელი-ყმა გარდაქმნა თანამედროვე პროლეტარათ. მეცხრამეტე საუკუნემ ის გადასცა მე-XX-ს თვის მოციქულათ და უანდერძა იმის განხორციელება, რაც თვითონ ვერ მოასწრო სიცოცხლის დროს. მან მშრომელი გააადამიანა მოქალაქობრივათ, პოლიტიკურათ, მარა ისევ ყმათ დასტოვა ეკონომიურათ. აი, ამ უკანასკნელი მონობის თავიდან აცილება და მით მშრომელის სრული გაადამიანება არის მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი და უწმინდესი ანდერძი. რამდენადაც დიდია განსხვავება ყმასა და პროლეტარ შორის, იმდენათ დიდი იქნება განსხვავება მეცხრამეტესა და მეოცე საუკუნის შორის. ყმა იმ ზომამდე იყო დაჩაგრული და დავრდომილი, რომ მისი ფეხზე წამოყენება და ნახევრათ გაადამიანება ისტორიას სწორეთ დიდ გულ-კეთილობათ უნდა ჩეთვალოს, თუ შეგვიძლიან ასე ვთქვათ.

დღესასწაული გაიმართა, სხვათა შორის, პარიჟში. იგი შედგებოდა კონფერანსისა (საჯარო სიტყვა, ლექცია) და ერთი დრამატული პიესისაგან. ერთმა სახელ-განთქმულმა ორატორმა ჯერ დაასურათა მეცხრამეტე საუკუნის „ნეკროლოგი“ და მერე წარუდგინა ხალხს საზოგადო „შტრახები“ ახალი საუკუნის მომავალი, დიდებული სურათი. კონფერანსის შემდეგ წარმოდგენილ იქმნა ახალი პიესა „დანტონი“. გამიჩნებათ გამოყვანილია რობესპიერი, დანტონი, დემულენი, სენ ჟუსტი და სხ. და სხ. პიესას გადაჰყვებართ იმ პოლიტიკურ ქარიშხალში, რომელიც ანგრევდა ძველ, ბატონ-ყმურ ქვეყანას და ამყარებდა თანამედროვე ცივილიზაციას.

სანაქებოთ გადაიხადეს ეს დღესასწაული კერძოთ ბრიუსელში. ჩვენ თვით დავესწართ მას. იგი გამართული იყო ახლათ დაარსებულ მუშათა საერთა-შორისო ბიუროსა (სეკრეტარიატი) და ადგილობრივი პარტიის გენერალურ საბჭოს თაოსნობით. სამახსოვრო იქნება იგი ყველასათვის, ვინც-კი სახალხო სახლში იყო 31 დეკემბერს საღამოს, მეოცე საუკუნის გარაყრაყებაზე.

შეკრბა თუ არა ხალხი სადღესასწაულო ზალაში, ორკესტრმა დაიგრაილა „მარსელიეზა“, „მარში“, რომელიც ასე საოცრათ, ასე გასაშტერებლათ ხატავს წარსულ საუკუნის ხალხთა მდგლვარებას, მათ საგმირო გრძნობებს. ეს სიმღერა მუსიკალურ ხმებში ჩამოსხმული რევოლიუციის ქანდაკებაა. „მარსელიეზა“ იყო საღამოს „უვერტიურა“ (გახსნა), ამ მარშით დაიწყო დღესასწაული და სწორეთ რომ მეცხრამეტე საუკუნის ხალხი უკეთესათ არ შეიძლებოდა მაჰგებებოდა მეოცე საუკუნეს, რადგან „მარსელიეზა“ მე-19-ტე საუკუნის „ფორმულიარული სპისოკია“, ბიუროკრატიული ტერმინით რომ ვთქვათ.

შემდეგ აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა მომღერალ ქალთა დავაუთა გუნდი. ქალებს ეცვათ უ? რალოთ, მარა მოხდენილათ, სხვა-და-სხვა ფერის კაბები, ყველას თავთავის გემოზე; ვაჟებს რასაკვირველია, ევროპიულათ. დაიწყო სიმღერები.

პატარა ანტრაქტის შემდეგ კვლავ აიხადა ფარდა, სცენაზე იდგა წითელ სუფრა-გადაფარებული გძელი სტოლი, რომელსაც გარს შემოსხდომოდა ექვსიოდე კაცი. სტოლის წინ, ხალხის პირ-და-პირ აიმართა მაღალი ტანის, სუფთა და სანდომიანი სანახაობის ვაჟაკი, ევროპიულათ ჩაცმული, მოკლე შავ-წვერ-ულვაშით და პენსნეთი. იმას უნდა ეთქვა დღესასწაულის შესაფერი სიტყვა, ეს იყო ემილ ვანდერველდი. „მოქალაქენო და ძვირფასო ამხანაგებო! დაიწყო ორატორმა — ამ საღამოს ჩვენ ვდღესასწაულობთ ახალი ერთობის საბოლოოთ შედგენას, რაიცა აგვირგვინებს მეცხრამეტე საუკუნის მოძრაობას.“ ორატორი თან-და-თან უმატებდა ხმას, კილოს, სიტყვათა ძლიერებას და, შეუმჩნეველათ, იმორჩილებდა და ატყვევებდა მთელ კრებას. ორატორის სიტყვებში რელიეფურის ფერადებით იქსოვებოდა მეცხრამეტე საუკუნის მთელი სურათი. მან კრიტიკულათ გადახედა განვლილ საუკუნეს და, როგორც დასკვნას მისი ევოლიუციისას, შეეხო თანამედროვე მოძრაობას. „მოქალაქენო, — და აბოლოვა სიტყვა — საერთა-შორისო ბიუროს სახელით საღამს ვაძლევ ყველა ჩვენ ამხანაგებს, ყველა იმათ, ვინც შრომობს, ვინც იტანჯება მშრომელთა საქმისათვის; მხურვალე, ძმურ საღამს ვაძლევთ ყველას ახალი წლისა და ახალი, მეოცე საუკუნის გამო!“

რამოდენიმე წუთის ანტრაქტის შემდეგ, კვლავ აიხადა ფარდა და სცენაზე ბინდ-ბუნდ სიბნელეში გამოჩნდა მუშათა დასი. აქ იყვენ ორივე სქესისა და ყველა პროფესიების ხალხი. ეცვათ სამუშაო ტანისამოსი სხვა-და-სხვა პროფესიის მიხედვით. მათ წინ, მაღალ კვარცხლბეკზე, რომელსაც გვერდით უჯდა დამკლავებული წარმოსადგეი მუშა დიდი ჩაქუჩით ხელში, კვარცხლ-ბეკზევე შემდარი იყო ასული თეთრ სამოსელში. მის ლამაზ, ქალწულე-ბრივ სახეს გარს ეფინებოდა ოქროს ფერი თმა; თავზე ეხურა პატარა, სამბოლიური წითელი ქუდი, ხელთ ეპყრა დიდი წითელი დროშა. ასული მღეროდა გმირულ კილოზე საერთა-შორისო ჰიმნს; პირველში, ისეთი ხმით დაიწყო, თიოქოს სიმღერა შორიდან ისმოდა, მაგრამ ხმა თან-და-თან ძლიერდებოდა. თვითონეულ მუხლის შემდეგ ორკესტრი გრიალებდა, იმასდაგვარათ, როგორც ძლიერდებოდა სიმღერა, მატულობდა სინათლემ, ბოლოს მთელი სცენის სიღრმე ალიონის მზგავსათ წითლათ შეიღება და დასს უხვათ ეფრქვევოდა სინათლის სხივები..

დასასრულ გაიმართა ბალი (ცეკვა-თამაში). როცა კედლის საათის ორივე ისარი 12-ზე მივიდა, ყველანი ერთმანერთს გადაეხვიენ და გატაცებით ჰკოცნიდენ. იყო საერთო მხიარულება და გიჟმაჟური აღტაცება თითქოს ყველანი გონების თვალით განსჭვრეტადენ იმ დიად ხანას, როცა უნდა განხორციელდეს ახალი იდეალი და ჰარმონიულათ შეთანხმდეს ძლიერება, სამართლიანობა და სიკეთე..

# კანჭკეზი

ო, მეო, ძმაო ონოფრეო,

ორჯულ ორი რამდენია, კარგათ იფიქრე!

წარსულ კვირას ჩემს კალამს მოულოდნელათ ცხვირს დააცემინა. ეს, რასაკვირველია, ოფიციალურათ არ მომხდარა, ამიტომ სხვა ნათარგმნთა შორის „ივერია“-ში ეს არა ყოფილა გადმოთარგმნილი რუსულ გაზეთებიდან. მე ამაზე, რასაკვირველია, არ ვწყურები იმით, რომ წინადად ჩემთვის კერძი არავის აუცლია, მაგრამ განა აქედამ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ არ გაწყურება ვალდერზეეც, რომელსაც ლიხუნ-ჩანგმა მხოლოდ ერთი თაბახი ქალაღლი უსაჩუქრა.

ის, ჰო, გაწყურეს, მაგრამ იმის ფეხის ხმას რომ აჰყოლია ჩვენი სათავად-აზნაურთა ქარვასლის კომისია, აი, ძნელი ეს არის. მართალია, ნაპოლეონი კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ის როდისა წყურებოდა ხოლმე! მერე რა აქვს გასაწყურომი ამ ჩვენ კომისიას? ისა, რომ „უნიონის“ ფირმა უთვლის:

— ბატონო კომისიავ, თვატრის განათებაში ფასი მერგება და უნდა მომცეო.

— მე გამწყურალი ვარ, ნუ მელაპარაკები, — უთვლის კომისია.

— მერე, რაზე?

— იმაზე, რომ... რომ .. ალბათ მე შეძინა, როცა კანდრაბტსა ვწერდითო.

ცხონებულმა ლუარსაბმა სიხარულით დაიძახა: „გაფრენილანო“. გაფრენილან კი არა, ისევე იქავე მსხდარან, თორე მაშ რასასთვლიდა ის, კომისიაა თუ რაღაც ცდომისია, როცა ძილში კანდრაბტსა სწერდა. დეე, ბუზები იქავე ისხდნენ, დეე, თუნდა ცოტა პეპლებიც შემოსხდნენ იმათ ქერებზე, მაგრამ კოზაკისა რა ბრაღია, რომ აქლემებს ჩხუბი მოუვიდეთ!

„არ გექნებათ სინათლე, თუ კომისია ფულს არ მომცემს“ — წარმოუგზავნა უნიონმა „ულტიმატუმი“ ჩვენ წელში გაწვრილებულ დრამატიულ კომიტეტს. და აი კოზაკი სწორეთ აქ იქყლიტება! იმან იმას ფული არ მისცა, ამან იმას — სინათლე და ასხი და ასხი წყალი გულ-შედონებულ დრამატიულ კომიტეტს! გულის შედონებას ვინა ჩივის, თუ მიწის ძვრა არ მოხდა, როცა, კანდრაბტის ძალით, „უნიონი“ ბუზებს ქერიდან გააფრთხობს.

ეს ყველაფერი ხვთის ნებაა, მაგრამ სანუგეშო მაინცა გვაქვს და გვაქვს ის, რომ თუ თფილისის თვატრში ამისთანა მიჯახებ-მოჯახებაა, სამაგიეროთ ქუთაისის სათნოებით ავისილა, იქაურები სულ გამტრედებულან, თუ შეიძლება ასე წარმოვსთქვათ, ქართული თვატრის სადღესასწაულო წარმოდგენაზე, რომელზედაც წარმოადგინეს ერისთავის კომედია „გაყრა“. სწორეთ იმდენივე კაცი დასწრებია, რაც ნიჟარაძის მიერ მიწვეულ თავად-აზნაურთა დეპუტატთა მეყვესგულათ დაძახნილ კრებას. არა, სცენაზე თუ „გაყრისა“ და „ბალახათისა“ შეეშინდათ ქუთათელებს — დეპუტატის „სობრანიეში“ მაინც „შეიყრებოდნენ“. მაგრამ მახლას ბ. ნიჟარაძე ალბათ

ძალათ ცხონება არ შეიძლება,  
თუნდ ერუსალიმს დეხით წაზვიდე,  
დაჯანგდა ზარი, უხმო და მზარი,  
გულა-ნაბადი მაშ აიკიდე!

რიგოლეტო

# პრომეთეოსი

(პოლონურიდან)

თხზულება ნემაკესკისა



იუპიტერი ოლიმპის მწვერვალზე იჯდა და ფიქრობდა.

ჩამავალი მზის სიცხოველეს მოკლებული, მაგრამ ჯერ კიდევ თვალის მომჭრელი, სხივის სვეტი დასავლეთს აელვარებდა. დიდხანს გასცქეროდა ღმერთი ქუხილისა ამ მნათობს! შემდეგ თვალი მთავლო თავის წინ ფართოთ გადაშლილ დედა-მიწას, აბობოქრებულს ზღვებს და ახლო-მახლო მწვანეთ მობიბინე წალკატს, საიდანაც მოისმოდა ნიმფთა<sup>1)</sup> უზრუნველი ხმები და აპოლონის ქნარის სიმთა ნაზი წყრიალი. ის ჩაფიქრდა და მყის კმუნვარებამ მოიცოა: არ ახარებდა მას არც მზის ბრწყინვალეობა, არც მწვანე წალკატის კეთილსუნნელოვანება, არც თვით ოლიმპიელთა ყოფა-ცხოვრება.

მან პირი აარიდა მზეს, გაჰხედა მოპირდაპირე მხარეს და სევდამ შეიპყრო. აქ, ამ მხარეზე მოცურავდა ბადრი წითელი მთვარე, რომელიც თან-და-თან ჰკარგავდა სინათლეს და ღამის მოლოურჯო ბრწყინვალეობას დებულობდა. მზე ჩაესვენა. ქუხილის ღმერთმა თავი ჩაჰკიდა, გადაისვა ხელი ნადვლიანს შუბლზე და პირველათ იგრძნო, რომ ხელი უკანკალებდა. ის შეწბა, შემდეგ თვალებმა ბრწყინვალეობით გაუელვეს. აქ მან შენიშნა ახალი, მოულოდნელი, მოვლენა.

წინათ, როცა მისი თვალები მრისხანებით ელავდენ, ცა ცეცხლებრ აენტებოდა და ხალხი სჭვრეტდა საუცხოვო სასწაულთა, რომელთა წინაშეც შიშით პირქვე ემხოზოდა. დღეს-კი მის სახეზე ანთებული ცეცხლი მხოლოდ მასვე სწვავდა და საჩქაროთ დაიფარა ნადვლიანი სახე ხელებით.

ახალი სასწაულნი! წინათ, როცა ის სახეს დაიფარავდა ხელებით, დღითი მზის სხივნი ბნელდებოდნენ, ხოლო ღამით — ბადრი მთვარე წყვდიადში ეხვევოდა. დღეს-კი მთვარე შეუპოვრათ შესცქეროდა მას და ჩვეულებრივთ შეჰნათოდა სახეზე. დიდ საგონებელში ჩავარდა ღმერთი ქუხილისა! აღარსაით ხედავდა მისამართს. მან თავისი თავი მარტო-მარტო იგრძნო ოლიმპზე და ეს მარტოობა მისთვის აუტანელი შეიქმნა.

ამ წამში წალკატში გაისმა ნიმფთა უგუნური ხარხარი, რომელშიაც ცხადათ ირჩეოდა აპოლონის სიცილი. ქუხილის ღმერთს სახეზე მწარე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა. მან ხელი აღაპყრო ლაქვარდოვან ცისაკენ და ქალარა ღრუბელმა განაშორა ის მიწიერ სიმაგრეს. ღრუბლებით გარემოცული იუპიტერი თავის საკურთხეველში შევიდა და ბრძანა, რომ მასთან მოეხმოთ აპოლონნი.

აპოლონნი, მფარველი მუსიკისა და პოეზიისა, სრულგებით არ ჩქარობდა. მას მოეკეცნა ფეხი აცეტამბულ ნიმფთა შორის დაფნის ქვეშ, კასტალიის წყაროს პირას, მუხლზე დაედო თავისი ქნარი და ხმა-მაღლა ხარხარებდა. ბასი შეეხებოდა კავკასიის კლდეზე მიჯა-

<sup>1)</sup> ნიმფები — მფარე ხარისხვანი ქალ-ღმერთნი. იუპიტერი — თავი ღმერთი. ოლიმპი — ღმერთების საცხოვრებელი მაღლობი.



ქველს პრომეთეოსს, რომლის ტანსაც უწყალოთ გლეჯდა ძერა. ასეთი მკაცრი სასჯელი დასდეს მას იმიტომ, რომ ის შეუპოვრათ შეუვარდა ღმერთებს ოლიმპზე, რათა მოეტაცნა მათგან ღვთიური ცეცხლი და დაერიგებია ის იმ ბნელ ხალხისათვის, რომელიც ღმერთთა მიერ გაუგებარ სისაწყლოში ლევდა სულს. ზოგ ნიშნებს ებრალებოდათ მამაცი, რადგან იგი იყო მშვენიერება, და გამბედავობამ უხილავის დიდებით შექმოსა იგი რა სასიამოვნო იქნებოდა თუნდა ერთი საღამო გაეტარებიათ მასთან ერთათ ამ წალკოტში, შეემკოთ ვარდებით მისი ფერ-მკრთალი შუბლი და ეცქირათ, როგორ განაცხოველებდა ნექტარი<sup>2)</sup> მის მთრთოლვარე ტუჩებში სიყვარულის წყურვილს. მაგრამ ეს გმირი, რომელსაც ისე ადვილათ შეეძლო მოეხიბლა ყველა ნიშნები, გაეგიჟებია მრავალი ქალ-ღმერთნი და თვით ბრძენი მინერვა-კი გაერგტიანებია—ეს ამაყი უეცრივ სტოვებს ოლიმპს და დედა-მიწაზე გარბის. სევდიან პოეტებს სიზმარშია-კი ოლიმპი ელანდებათ და ის-კი, რომელმაც საკუთარი ფეხით მიაღწია მის მიუღწეველ მწვერვალს, ქალთა კოცნისაგან დამფრთხალა, ბავშვით, გარბის აქედან... რომ დარჩენილიყო, ნიშნები გამოსახვადენ ქუხილის ღმერთს მის მოტევებას,—ზოგჯერ ის მოწყალებს არის. ადვილი მოსალოდნელი იყო, იუპიტერი შეუნდობდა მას თავხედობას და ნებას მისცემდა ოლიმპზე დარჩენისას, მაგრამ ის გაიქცა. ამიტომაც ზოგიერთ ნიშნთა გულს არ ეკარებოდა სიბრალული იმისი, ვისაც ისე მწარედ ფლეთდა ძერა კავკასიის ქედზე. აპოლონს, რომელიც ამტკიცებდა, რომ სიყვარულისა და ხელოვნებას გარეთ ცხოვრება არ არსებობსო, სასაცილოთ არა ჰყოფნიდა პრომეთეოსის გმირობა; ამას გარდა იგივე ამტკიცებდა, რომ ქეშმარიტი სილამაზის ცნობა-შეგნება მიწიერათვის მიუწღამელიაო.

ამ ხანში მთვარე უკვე კარგა მალლიდან რწყავდა წალკოტს ვერცხლებრივი სინათლით და ღმერთთა გრძნობებს ადვიდებდა. აპოლონი წაშოდგა, გამოემშვიდობა ნიშნებს და ქუხილის ღმერთთან გასწია. იუპიტერი ბოლოს სცემდა თვალ-უწვდენ ბოძთა შუა, რომელნიც რაღაც საიდულო არდილს ჰყენდენ დედა-მიწას. აპოლონი ეშმაკურათ დაატკერდა მთვარისაგან გაბრწყინვებულ მამის სახეს, შემდეგ მიეყრდნო ერთ ბოძთაგანს და წყნარათ დაიწყო ქნარზე თითების თამაში.

ცოტა ხნის შემდეგ ღმერთი ქუხილისა გაჩერდა მის წინ და, მრისხანე, თავ-შეკავებით ღვიტობა:

- მინერვა სად არის? <sup>3)</sup>
- ბრძენი მინერვა მარსის<sup>4)</sup> სანახავათ წავიდა.
- ჰსიხეა? <sup>5)</sup>
- ჰსიხეა ტერპსიხორასთან <sup>6)</sup> არის, ახალ ცეკვას სწავლობენ.
- შენ-კი?
- მე ვერთობი ხან სიყვარულითა და ხან სიმღერით.

ღმერთი ქუხილისა მწარე შემხუთავმა სიცილმა მოიკო. ისე ახლოს მიიტანა მან თავისი დაღრეჯილი

<sup>2)</sup> ღმერთთა უკვდავების სასმელი. <sup>3)</sup> მინერვა—ღმერთი სიბრძნისა. <sup>4)</sup> მარსი—ღმერთი ომისა. <sup>5)</sup> ჰსიხეა—კრიტელ თავადის ქალი, შესანიშნავი ლამაზი. <sup>6)</sup> ტერპსიხორა—მუზა, ანუ ქალ-ღმერთი ცეკვისა.

სახე აპოლონის პირთან, რომ ის იძულებული გახდა უკან დაეხია. აპოლონი თავი ჩაჰკიდა და ქნარზე დაკვრა შესწყვიტა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ქუხილის ღმერთმა უკან შემოიწყო ხელები, რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა ბოძთა შუა, შემდეგ გაჩერდა აპოლონის წინ ჭკიტბა:

— წინანდებურადვე პატივს სცემს, თუ არა, ხალხი შენს სადიდებლათ აგებულს საკურთხევლებს?

აპოლონი ცოტათი შეწბა, მაგრამ ისევ მალე გამოერკვა და გარეგანის სიმშვიდით მიუგო:

— მართალი გითხრა, ამაზე ზრუნვას უკვე თავი დავანებე. რა საქმე მაქვს მასთან, პატივს მცემს თუ არა ბნელი, ბრიყვი და უგრძნობი ხალხი, ის ხალხი, რომელსაც კლდეზე მიჯაჭვა მეტ კმაყოფილებასა ჰგერის, სადაც მას სჯიჯგნიან ძიარანი, ვინემ სიმღერები, ნექტარის სმა და სიყვარული!

— კარგი და, რა მოხდება, თუ ისეთი კადნიერნი, როგორიც კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეოსია, დედამიწაზე გამრავლდენ და ამ ჩვენს სამფლობელოში შემოსევა დაუბშირეს?—დაეკითხა იუპიტერი.

— ნუ ჰქმნი მათგან გმირებს და აღარ შემოგვეჩრებიან აქ, ვერც იმას წავგართმევენ, რაც უნდა მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდეს.

— მე კი არა ვქმნი მათგან გმირებს, არამედ თვით იქმნებიან ასეთად! ესეც იყო დაბრუნდა დედა-მიწიდან გერმესი და მიაბო, რომ ვიღაც უსაქმურმა, ხალხის მოთავეობით, დაამხო შენი ეკკლესიები და თხოულობს, მათს ალაგას აგებულ იქმნას სამსხვერპლო პრომეთეოსისათვის. ამაზე რას იტყვი, ჰა?

აპოლონი გაფითრდა, მაგრამ სწრაფ მოვიდა გონს და ცბიერის გულ-გრილობით მიუგო.

— უფრო სამართლიანი იქნება, თვით მე დაგვეკითხოთ თქვენ, ღმერთო ქუხილისაო, რას იტყვით ამაზე?

— განა მე მოვალე ვარ ვიზრუნო მათზე, რომ შენ გადიღონ?—მიუგო იუპიტერმა.

— ამ შემთხვევაში მე თავს ვანებებ მღერას, — უხეშათ მიუგო აპოლონი—ამიერიდან ჩემთვის არსებობენ მხოლოდ ვაკხა და ამური.<sup>7)</sup>

ქუხილის ღმერთმა წარბები შექმუნა და ხელით ანიშნა.

წარმოდგა წინ გერმესი. ის გაფითრებული და შეშინებული იყურებოდა გარშემო; მისი სახე ააშკარავებდა დედა-მიწაზე ხანგრძლივი მოგზაურობისა გამო დაღლილობას; ფრთებსა და ხელებზე მოლურჯო მტვერი დასდებოდა.

— ილაპარაკე! — უთხრა ქუხილის ღმერთმა.

აპოლონი ყურადღებით ახედ-დახედა გერმესს. მოვარის მკრთალი შუქი ვერცხლებრ აბრწყინვებდა თვალ-უწვდენ ბოძებსა და მწვანედ გადაშლილ ფოთლებს. გერმესმა დააწყო:

— მე ვიყავ დედა-მიწაზე და ვნახე ხალხი; ვნახე მათი, ღმერთთათვის სრულიად უცნობი, ცხოვრება. მრავალ-რიცხოვან ჯგუფებათ დადიან ისინი ქალაქიდან ქალაქებში ანთებული ჩირაღდნებით და ხმა-მალლა გაი-

<sup>7)</sup> ვაკხა—ღმერთი ღვინისა და მხიარულებისა; ამური—ღმერთი სიყვარულისა.

ძახიან: ოლიმპის ღმერთნი—ღმერთნი არ არიანო. განა ეს ლოთი ვაჭი, ან გარყვნილი აპოლონი ღმერთებია? დაეანგრიოთ მათი ეკლესიები, ვინაიდან ჩვენ გვათრობს ჩვენი ცრემლები და სილატაკეს მივყევართ გარყვნილებამდეო. დავცეთ ვაჭისა და აპოლონის საკურთხეველნი და მათ მაგივრათ აღვაგოთ სამსხვერპლო მისთვის, ვინც მოგვანიჭა ეს ანთებული ჩირაღდანია.

ღმერთთა ელჩმა ღრმით ამოიხვნეშა, ხოლო იუბიტერმა აპოლონს წასჩურჩულა:

— საით ვპირები მაშინ, ჩემო აპოლონ, შენი ვაჭითურთ?

აპოლონი გაფიქრდა და სდუმდა. გერგესმა განაგრძო.

ხალხმა აღმართა მალლა ჩირაღდნები. უეცრივ მათ წინ წამოდგა ვილაც ახალგაზდა ქაბუკი და მალლა გაჰკიოდა, რომ საჭიროა ახლავე შევეუცვივდეთ ღმერთებს ოლიმპზე, გადმოვყაროთ ისინი ძირს, გავათავისუფლოთ პრომეთეოსი სისხლ-მწოვარა ძერის კლანჭებიდან და დავსვათ ოლიმპზეო. ხალხიც აღტაცებით ხმაურობდა და ბანს აძლევდა. იმათს რიცხვს თან-და-თან ემატებოდა ახალ-ახალი გროვა ხაბაზთა, მკერვალოთა, მეჩქემთა და კალატოზთა. მათ თან მოჰყავდათ მკერვალი ქალები, რომელნიც ხმა-მალლა დაღაღებდნენ მინერვასა და მარსის სასიყვარულო კავშირზე. ისინი დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ მათს ფრჩხილებში მეტა ტვინია, ვინემ მინერვას თავში და პრომეთეოსიც ას წილათ უფრო მიმზიდველია უკვე მოხუცებულს მარსზეო. ბრბო აღტაცებით ეგებებოდა მკერვალ ქალებს და ხაბაზნი ეძახოდნენ მათ აფროდიტებს<sup>8)</sup>. ამ დროს უეცრივ ვილამაც წამოიძახა: „დავშალოთ გზა-გზა ეკლესია ცუდათ მოკიალე აპოლონისა! ერთათ-ერთი მომდერალი ამ საუკუნისა პრომეთეოსია! თვითეული მისი ქცევა—სინღერაა, მისი ტანჯვები—ჰიმნიაო!“

ქუხილის ღმერთმა კიდევ წასჩურჩულა აპოლონს:

— სად-ღა აპირებ წასვლას, ძვირფასო აპოლონ, შენის მშვენიერათ მქდერალი ქნარით?

აპოლონი ხმას არ იღებდა, მაგრამ მისი კეთილშობილური სახე ისე დაიმანჭა, რომ მახინჯს დაემსგავსა. გერმესმა განაგრძო.

— ხალხში გამოჩნდა კიდევ ახალი ორატორი, რომელიც ამტკიცებდა, რომ პრომეთეოსა, როგორც გმირი, ჰერკულესზე მალლა სდგას, ვინ ჰერკულესზე, რომელიც დაბოლოს მაინც დაამონა დენირამ<sup>9)</sup>, ხოლო პრომეთეოსი კი ქალ-ღმერთთა სილამაზეს ყურადღებასაც არ აქცევდა, მკერვალ ქალთა ბრბო აყაყანდა, რომ ქალ-ღმერთნი ცბიერობენ და თვალთ-მაქცობენო. ხალხში ასტყდა ხმაურობა, ჩირაღდნები ალაპლაპდნენ, კიჟინი ზეცას სწვდებოდა. მე მგონი, აქაც უნდა ისმოდეს ის ახლა დრო-გამოშვებით.

ის გაჩუმდა და სამივემ დააყურეს. სადღაც შორს, უძირო სიღრმეში, ღამის ბნელ ზეწარს ქვეშიღან გუგუნებდა ადამიანთა ხმები. ხან-და-ხან გაისმოდა ერთი ვისმეს ხმა-მალლა შემოძახება, რომელსაც თან მოჰყვებოდა

<sup>8)</sup> აფროდიტა—ბერძენების ღმერთი სიყვარულისა ძველათ.

<sup>9)</sup> კალიდონიის მეფის ქალი, ცოლი ჰერკულესისა.

ხალხის კიდევ უფრო მეტი ხმაურობა. ქუხილის ღმერთმა წარბები შეიკრა; გერმესმა განაგრძო ისევ

— ხალხი გაემართა კავკასიის მთებისაკენ. დაინახარა ეს ძერამ, ერთი დასჭყვილა, გაორკეცებულის სიბრაზით მივარდა მიჯაჭვულს და ფილტვებში ნისკარტი გაუტარა. მიჯაჭვული-კი უსიცოცხლოთ გასცქეროდა სადღაც შორს და მხოლოთ ხან-და-ხან აღმოხდებოდა დაფლეთილ გულ-მკერდიდან ყრუ კვნესა. უეცრივ მას მოესმა ხალხის კიჟინი. იმის გაფიქრებულსა და ცივი ოფლით მორწყულ სახეს სუბუქმა სინათლემ გადაჰკრა. თვალებში ნაპერწკლებმა გაუელვა. მან მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე და სცადა შეენძრია კლდეზე მიჯაჭვული ხელები. რკინა გაიხნიქა, მაგრამ არ გატყდა-კი. მოახლოვებულ ხალხის კიჟინით დამფრთხალმა ძერამ მომართა ფრთები, აიწია მალლა-მალლა და ხალხის ზემოდან ზეცაში ტრიალი დაიწყო, მაგრამ, როცა ზემოდან შენიშნა ხალხის მეტის-მეტი სიმრავლე, მოჰკურცხლა. მაშინ წამებულმა გაჰხედა ხალხის მხარეს; მისი აღგზნებული სახე გაცისკროვანდა და გულიდან გამაცხოველებული ძახილი აღმოხდა. უეცრივ შესწვიტა სულ. თქმა, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე, გაიწია და... აქ კი თვალები დავხუჭე. ატყდა ნამდვილი გრიგალი.

ხალხი ზღვის ტალღასავით ენთქებოდა ღ მიფორთხავდა კლდეზე. მე სახე დავიფარე ხელებით, რომ არავის ვეცნე, და მოვკურცხლე; გამოვეშურე აქეთ, ოლიმპის მწვერვალისაკენ, მაგრამ ძლივს გამოველე ნახევარი გზა, რომ ხმაურობა მომესმა. ავეკარ კლდეს და სული გავტარუნე. ხალხის ფეხის-ხმა საყვირივით გაისმოდა მთებში. ნათლათ გავარჩიე ჩემს უკან ასეთი სიტყვები: „აქეთ! აქეთ! აქ არის ოლიმპის გზა! დავცეთ ისინი, სანამ სიხოველე შეგვრჩენია... ავიყვანოთ აქ ის, მივცეთ ხელში ქუხილიო!“ მივიხედე და... ჟრუანტელმა დამიარა მთელს ტანში. ერთ-ერთ კლდის მწვერვალზე გამოჩნდა ჩირაღდნებით გააფთრებული ხალხის გუნდი, რომელსაც წინ უძღვოდა ის... ის, ფერ-მიხდილი, სისხლში მოსვრილი, გაღელილ გულ-მკერდით და ქუთუთოებში ჩამძვრალი მრისხანედ მოელვარე თვალებით. მისი ჩირაღდანი, მგზნებარე ალით აპრიალებული, მოწითანო ფერს სცემდა იმის შიშველ ტანს. იმის უკან შავი ღრუბელივით მოიგრაგნებოდა ხალხი, რომელსაც თან მოჰქონდა უბედურება. აქ-კი ჩემი სული შეჰბოჭა შიშმა და, გავშალე რა ფეხის ფრთები, გამოვცურე წმინდა სივრცეში უკვდავებთან!


ღ—ი.

(დასასრული იქმნება)

უურნალ-გამეტებიდან

„ცნობის ფურცელ“-ში თან-და-თან გადმოდიან „ივერიის“ თანამშრომლები. მაგრამ ეს რამდენათ სასიქადულოა ახალი გაზეთისათვის, ჩანს ბ. კიტა აბაშიძის წერილიდან, რომელიც მოთავსებული იყო „ცნ. ფურც.“-ის იანერის ნომერში. აი როგორ ახასიათებს ის ჩვენს მწერლებს:

„თ. ჯაკი წერეთელი ღმობიერსა და მშვიდს ჰესიმიზმს თავისის ზირველის ლექსებისს ურეჯდ ზიზღით აღსავსე გმო-



ბას და ბოლოს ისიც კი დასწერა, რომ „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო“.

„ბ. გ. წერეთელმა, უფერულისა და უშინაარსო ცხოვრების სურათებით, არაფერი საიმედო მისცა ქართველ მკითხველს, და თუ ზუბლიცისტიკაში ჰაერში დასერიანობდა, ჭკერში აშენებული კოშკებით ძნელი იყო წელ-მოწვევტილი ერის გატაცება. მას უფრო საფუძვლიანი და დასაბუთებული დაბეჭდვითა უკვირება.“

ასე ერთი კალმის მოსმით მიწასთან გაასწორა რა ის, ვისაც ორმოცი წელი მწერლობაში უმოღვაწია, სამაგიეროთ ასეთივე ერთი კალმის მოსმით აამალლა ის, ვისი მწერლობა და მოღვაწეობა ჯერ არავის სმენია და არ გაუგონია. ავტორი სწერს:

„ბ. ივ. ზურაბიშვილმა კაცის აზრის გაუმადლობის სიბავშვებ და უნიადგობა დავგანახვა და კაცის ცხოვრების დიად მოვლენათა უბადრუკი და უშინაშენელ მსვლელობის სატირიულ მოწმეთ დასახა კაცის აზრისკანვე შექმნილი წარმოდგენა დროისა“.

მართალია, აქედან ხორციელი კაცი ვერ მიხედება თუ რა „დაგვანახვა“ ბ. ზურაბიშვილმა, მაგრამ რალაც „დიდი რამ“ რომ დაუნახვებია—ეს კი ცხადია, მხოლოდ სად, როდის, რომელ ქვეყანაში—ეს დღემდის საიდუმლოებით მოცულია.

### ბ ი ბ ლ ი მ მ რ ა შ ი ბ

თვითრი ჟურნალი „მოგზაური“ № I.

ზახეთი „კვლი“ სიამოვნებით ეგებება ახალ მოძმეს; კეთილი იყოს მისი განება! ოდნედაც რომ დრო არი ჩვენი წარსულის მეცნიერულათ გამოკვლევისა, ძველთა ნაშთთა ახსნისა, ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიულ-ეტიმოლოგიულათ შესწავლისა. მეტათ ვრცელთა ეს ასხარეზი და ფრად სიმბატური ეს მისწავება, და ჩვენც წრფელი გულით ვუსურვებთ „მოგზაურს“ სავსებით შეესრულებოთ თავისი მიზანი.

ზირველი წიგნი ჟურნალისა სურათით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, ის სავსათ შინაარსიანია. ჟურნალი ბ. ვარდ. უიფიანის ურითმო და უზოეზიო ლექსით იწეება, შემდეგ მეთაური წერილია, რომელშიაც ავტორი ჩვენი ქვეყნის უფილის მხრით შესწავლის საჭიროებას ამტკიცებს, რამაც სავსებით ვეთანხმებით. სხვა წერათა შორის საუფრადებოა წერილი მურჯახეთისა და განძის სვეტებზე; ჟურნალში ჩართულია სვეტების შენიერი ორი სურათი. საინტერესოა აგრეთვე წერილი ნ. ურბნელისა ქართული „დეულის“ შესახებ (ხმალში გატანება) ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ წარმოებდა ხმალში გატანება და ერთ ადგილას ამბობს: „თუ აზნაური დაბალ-წოდების კაცს ხმალში გაიწვევდა, იმასაც ზირ-ახდილს (თანასწორთან მუხარადი, ჩანქანი და სხ. ამ გვარი სამკაული ეტვა) და მართლ ჯოხით უნდა ებრძოლათ, თავი რათ დაამცირე და შენზე დაბალი ხმალში რათ გაიწვიო. აი, საიდან მომდინარეობს ჩვეულება, რომ კეთილშობილის ჯოხით გალახვა და სილის გარტემა დიდათ სათავილოა და იგი ამ თავილს ძნელათ აიტანს და სიცოცხლესაც ანაცვალებს, თუმცა გლეხისათვის ჯოხი და სილა მაგრე რიგათ არაფერი შეურაცყოფია“ (საზ გასმული ვეგლგან ჩვენი). ეს მართლაც ასე იყო მაშინ, როცა ქანებით გაბატონებულ თავად-აზნაურების თავმოყვარეობა ლაღობდა; ხოლო, უამთა ვითარებისა გამო, ბრწეინ-

ვალე წოდება ეკონომიურათ ჩამოქვეითდა და ამას მოჭევა თავმოყვარეობის შესუსტებაც. მეორე მხრით დაბეჭდვული გლესობა ეკონომიურათ წელში გაიმართა და მით მისი თავმოყვარეობაც გაიზარდა, ფრთები შეისხა; ასე რომ ჩვენ დროს ძალიან ხშირათ ისე ლაზათიანათ მიბრეკვენ ხოლმე კეტებით გუშინდელი უმები აზნაურსა და ბრწეინვალე თავადს, რომ უკეთესი აღარ უნდა, და ეს უკანასკნელიც სიცოცხლეს არ ანაცვალდებენ ხოლმე.

მეორე ადგილას პატრივტიული ავტორი ამბობს: „ეგროზაში შემა შედღისას იწეებოდა და ვარსკვლავების ამოსვლამდე გრძელდებოდა. თუ ამ დრომდე არ გათავდებოდა, მაშინ ხმალში გამოწვევი ძლეულათ ითვლებოდა და სასჯელს ვერ წაუვიდოდა. ჩვენში ასე არ იყო: აქ ნამდვილს გამარჯვებას თხოულობდენ—რომელიც გარდავარდების და ან გაიქცევის, ის გამოტეუნებულ იქნების—სხვა ვერ გამარჯვება არა სწამდათ; სამართლის ასეთი შესედულება,—განაგრძობს ურბნელი,—ხედ გამოქრილია ჩენს ზნეობაზე. ახლაც, მაგალითებრ, ჭიდაობის დროს, ცალიერ წაქცევას დამარცხებათ სთვლიან, —მიწაც უნდა ახლოკინონ ზურგითაო...“

აქ ძალა უნებურათ ის მოკითხვის წერილი მაგონდება, რომლითაც ბატონი უმისკან განიჩეგოდა თურმე. ბატონ-უმობა უფილგან ადამიანის დამამცირებელი მოვლენა იყო, უმცირესობისკან უმრავლესობის ძარცვა-გლეჯას მოასწავებდა; ჩვენში კი უმათ და ბატონთა ინსტიტუტს მამა-შვილური ხასიათი ჭქონია, იდეალური რამ უფილგა,—ასე გვასწავებდა ოდესღაც ერთი ჩვენი ზუბლიცისტი; ჩვენი ერი მთელ ეგროზის ერზე სამართლიანი ერია, ჩვენი ზნეობა მაღალი ზნეობააო, —გვასწავის ეხლა მეორე ზუბლიცისტი. არა გვჯერა. არა გვჯერა ისიც, რომ ბ. ივანე როსტომაშვილი მეორე ნომერშიაც მოათავსებს გავრძელებას კანსტ. გვარამძის წერილისას გურიაზე. რა იცით, იქნება შემდეგი უკეთესი იქნესო, —შეიძლება გვიზახხოს ბ. როსტომაშვილმა; მაგრამ, ხომ მოგვსენებათ ქართული ანდაზა: სახედარ ხარს საქანრეზე შეეტეობაო. გურულები მეტათ მომჯადოებელი, წარმტაცნი რამ არიან, გურის რადაც თავისებური სიმშენიერე აქვს და აი ამ კარემოებამ არა ერთსა და ოსს აღუძრა სურვილი თავისი ენა-წელიანობა ამ ხალხზე და მხარეზე გამოქინა; საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთ ჩვენ მამულის-შვილთა შევიცარიდაზმაც კი დაიწეეს გურიაზე წერა. და აი კანსტ. გვარამაძემაც ადლო ბატონი თვისნი და დადა-ჭეო შემდეგი: „გურიის ბუნება უხვათ არის და ჯილდოვებული ტეით და ბად-ვენხით, რომელნიც ირწევიან მრავალ წყარო-ნაკადულ-მდინარეებით და მომელიგეულია ერთ-გვარის ქართველის მოღვმისაგან\*) (გურულისკან)“. მაღლი დმერთს, რომ გურია გურულებით უფილგა მომელიგეული და არა-თათრებით. ჩავევთ დაბლა. „ბუნებას საზოგადოთ ძალა ვეგლგან აქვს, მაგრამ აქ კი უძლიერესია ესა. ბევრს უნდაურს მოვლენას და ძალას ჭბადავს ბუნება აქა და თვით ბუნებაც ძლიერობს, ადამიანი და სხვა-და-სხვა სულიერნი ცხოველნი (თუ ცხოველია, რად თქმა უნდა, სულიერი იქნება?! ან იქნება გურიაში იეუნენ უსულო ცხოველნი?) ბუნებისკან მხნეველებიან და ძლიერდებიან თავანთ ბუნებაში და მათგანაც ბუნება, (მოითმინეთ, ბატონო! ზირ-იქით, იქ სავსე ბუნება მკაცრი და ძლიერია, სწორეთ ისეთი, როგორიც თქვენ შემდეგ გაქვთ აწერილი, ადამიანი შეშინებული და დამოთხალია

\*) ეს „ერთ გვარი ქართველი მოღვმა“ რალა, თქვენი კირი-მე? ერთ გვარი სოკო კიდევ ჰო.

ჭეჭი, ქუხილი, ელვა ყველა ეს აზრებს და თავ-ზაკს ცემა ზირველ ყოფილ ადამიანს, და კიდევ შიშის გამო აღმერთებდა ის ყველა აზარს...

„ამ წყაღთა ჩქრადის მიმდინარეობითა ჩნდება ზარფი(?) ესრედ წოდებული ნიაფი. ეს ნიაფი წყლის ზირათ მომცენარებულ ფოთლებს ახდრებს, ამით ერთი შეკრეს ესლება, შეკრე მესამეს (მესამე შეკრეს დაფუძნებთ ჩვენ) და ასე მოძრაობა შეიქმნება, იწყება ხეების და ბუჩქების ფურცელთა შრადი. ამ ფოთლების შრადზე ფრინველ-ნადირნი ფრთხილად და სავადაც არის ხელზე მით გასაქცევით სქილდის საბადახზე სიარული და მათ ბუჩქებში მსხვრევა და ან მახლობელ შრადზე ადამიანის სიარული და ტყეში შეიფ ადამიანისავე ფეხის ხმა და ბად-ნად-ბუჩქებში ძრამა. ამ შემთხვევაში, თუ ფრინველია, უნებ დასჭვას, როგორც ეს შამშა იცის და ფრთხილად შრადს, ფოთლებს ხეგნარში შევადება და შრადებს ხიფათსა. ასევე იტყვება ნადირიცა. ამის გამგონე მახლობელი ადამიანიც, უნებთ შეუთიანებულ ფრინველისა გამო, სხტავდება და თუ დაწინარებულათ არის—იფლებს და თუ გაჯავრებულია—მრისხანდება და ან შეძრწუნდება“. ჭეშმარიტათ შესადრწუნებულია, როცა ასეთი ბედით უმისწინძვლებიან შკითხველ საზოგადოებსა. აქ შესადლო იყო შევრეებულიყოთ, მაგრამ არ შეგვიძლია „კვადი“-ს შკითხველთ არ ვაუწყოთ ერთი აზრებული თვისება გუჩრის მდინარეთა და ფრინველთა, მით უმეტეს, რომ ეს თვისება ზირველათ კონსტ. გვანამაქს აღმოუჩინა. აი რა შიას საქმე: „სანამ მთა-გორებს კასტილებსა, აქაური მდინარეები მეტათ ჩქარა მიმდინარეობენ, ხელდა, როცა რავდენსამე ვერსს კასტილებთან, ბარად და ზღვის დაახლოვებით, დინჯდებაინ“. სავიწველია, თუ თქვენც დამეძრწუნებით! რათ არას, რომ ქართლში მთა-გორებზე დინჯათ მიიზღასუნება მდინარე და ბარათ კი გამალებული შირბის?!

ფრინველიც თურმე „თუ ტყეია მხვდა, ან მკვდება და ან დაიკვდება“ და თუ ვერ მხვდა, გაფრინდება“. ქართლში ასე არ იცის. გინდ მხვდეს და გინდ არა, მაინც არ გაფრინდება.

გ—ა.

მწერლობის განვითარება

ერთ უდიდეს ძალას თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იმავე დროს ერთ უძლიერეს იარაღს ადამიანთა წარმატებისათვის და საერთოთ მთელი კაცობრიობის წინმსვლელობისთვის შეადგენს მწერლობა. ამ წერილში ჩვენ გვსურს მოკლეთ გავითვალწინოთ მწერლობის წარმოება და მისი თან-და-თან ზრდა-განვითარება. თანამედროვე მეცნიერება და განსაკუთრებით ორი მისი შტო—სოციოლოგია და პოლიტიკური ეკონომია, გვეუბნება, რომ დღევანდელი საზოგადოება მთელი თავისი ეკონომიური, იურიდიული და ზნეობრივი ორგანიზაციის ნაყოფია კაცობრიობის ხანგრძლივი განვითარებისა; ეს განვითარება მდგომარეობდა ნივთიერი წარმოების იარაღთა აღმოჩენასა და გაუმჯობესებაში; ე. ი. უკანასკნელი ანგარიშით მთელი თანამედროვე განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრება ნაყოფია ნივთიერი საშუალებათა, ანუ საწარმოვო ძალთა ზრდა-განვითარებისა. მწერლობაც, როგორც ერთი შემადგენელი ნაწილი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომ

მელშიაც იხატება თვით საზოგადოების შინაგანი და გარეგანი სახე, ამავე კანონს ემორჩილება.

საზოგადოებრივი განვითარების პირველ საფეხურებზე, ე. ი. იმ უხსოვარ ხანებში, როცა პირველათ გაჩნდნენ ადამიანთა საზოგადოებანი, არავითარი ნიშანი მწერლობისა არ არსებობდა. ამ დროს საზოგადოებრივი ორგანიზაცია იმდენათ მარტივი და სადა იყო, რომ არც ერთი მისი მოვლენის, ანუ შემთხვევის აღნუსხვა და გარეგანი გამოხატვა საჭირო არ იყო. იმის მიხედვით, თუ რამდენათ რთულდებოდა საზოგადოება, უმჯობესდებოდნენ და ვითარდებოდნენ მისი ნივთიერი წარმოების საშუალებანი, მწერლობაც ამა თუ იმ სახით აუცილებელი ხდებოდა. მწერლობის ისტორია იწყება მას შემდეგ, რაც გამოგონებულ იქმნა ფონეტიკური ანბანი, ანუ თითოეული ხმის ცალკე ნიშნით თუ ასოთი გამოხატვა, პირდაპირ სიტყვებით წერა. მაგრამ საყოველთაოთ ცნობილია დღეს, რომ სიტყვებით წერას წინ უძღოდა ფიგურებით წერა. ამიტომ მწერლობის დასაწყისი ჩვენც ამ ფიგურებში უნდა ვეძიოთ. ველურ ტომთა აწერისაგან ჩვენ ვიცით, რომ ისინი ბუნების ამა თუ იმ მოვლენას და რომელსამე შესანიშნავ შემთხვევას თავის ცხოვრებიდან შესაფერი ფიგურებით გამოხატავდნენ კლდეებზე, ან ხეებზე. ასეთი ფიგურებით ზოგჯერ მთელი ამბებია აწერილი და ზოგი იმათგანი ახსნილი და გამოაკვეულია მეცნიერების მიერ. შესანიშნავათ განავითარეს ფიგურებით წერა მექსიკანელებმა. იმ დროს, როცა ევროპელებმა აღმოაჩინეს ამერიკა, მექსიკანელებს იმდენათ შეემუშავებინათ ფიგურებით წერა, რომ ამის საშუალებით ისინი ხატავდნენ არა თუ თავიანთ მეფეთა სახელებს, არამედ აღგნდნენ სტატისტიკურ ცნობებს მცხოვრებლებზე, გადასახადზე და სხ. 1). ამ ფიგურების შესწავლამ იმ დასკვნამდის მიიყვანა მკვლევარნი, რომ მექსიკანელებს ცოტა დაკლებიათ რომ ფიგურებით წერიდან გადასულიყვნენ სიტყვებით წერაზე, ე. ი., რომ მათ დამოუკიდებლათ შეექნათ ფონეტიკური ანბანი. მაგრამ თუ იმათ ვერ გადადგეს წინ ნაბიჯი, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, რომლების გამოაკვევას ჩვენ აქ ვერ შევძლებთ, იმათი განვითარება შეფერხდა, ანუ, უფრო მართალი რომ ვთქვათ, შეჩერდა. ასეთი შესამჩნევი ნაბიჯი მწერლობის ისტორიაში გადადგმულ იქმნა მხოლოდ იქ, სადაც საზოგადოებრივი განვითარება, საწარმოვო ძალთა განვითარების წყალობით, არ შეჩერებულა. ასეთ ქვეყნათ უნდა ჩაითვალოს ძველი ეგვიპტე, რომლის იეროგლიფური წარწერების შესწავლა ნათლათ გვაჩვენებს ფიგურული წერის ან-ბანურათ თან-და-თან გარდაქნას 2). მაგრამ ნამდვილი ან-ბანური სისტემის შექნა მწერლობაში ეგვიპტეს მაინც არ ეკუთვნის. ეს უშესანიშნავესი აღმოჩენა კაცობრიობის ისტორიაში მიეწერება ფინიკელებს, უძველეს ალებ-მიმცემ ხალხს, რომელმაც დიდი კვალი დასტოვა კაცობრიობის განვითარებაში. ეს გარემოება ჩვენ აშკარათ გვეუბნება, რომ

1) ამ გვარ წერას ჩვენ ახლა ვეძახით შარადებს, რომლებსაც საყმაწვილო წიგნებში ვხვდებით ხოლმე.  
2) ასევე უნდა ითქვას ძველ ასირიაზე და ეგრეთ წოდებულ ლურსმურ წარწერებზე.



ვაქრობის და აღებ-მიცემის განვითარებამ, რაც თავის მხრით ნივთიერი წარმოების გაუმჯობესების შედეგი იყო, გამოიწვია წერის ნიშნების გაუმჯობესება. ჩვენ ვიტყვით კიდევ მეტს: ეს გაუმჯობესება აუცილებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც ფინიკიელებმა და შემდეგ ბერძნებმა შესამჩნევად ნაბიჯი გადადგეს ნივთიერი წარმოებისაკენ.

ამ ნაირათ, სრულიად ახალი ხანა დადგა მწერლობის ისტორიაში ხმოვანი ანბანის გამოგონებით, რითაც შესაძლებელი შეიქმნა არა თუ მარტოვი სახელების და წერა, არამედ ყოველივე აზრისაც, რომელიც სიტყვებით შეუძლია აღამიანს წარმოთქვას. მაგრამ დაბრკოლება იყო მეორე მხრით. აზრის გამოხატვა წერათ გადავიდოდა, მაგრამ რაზე უნდა დაწერილიყო? ქვეს ფიქარზე ან ხეზე შეიძლებოდა რამოდენიმე სიტყვის ამოქრა, თუმცა დიდი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით, რადგანაც ეს დიდ დროს და დახელოვნებას თხოულობდა, მაგრამ ასეთ მასალაზე ვრცელი აზრის დაწერა ყოველათ შეუძლებელი იყო. ეს დაბრკოლება თან-და-თან იქმნა აცილებული. ყოველივე განვითარების კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი აღმოჩენა ანუ გამოგონება იწვევს მეორეს, ეს—მესამეს და ასე ამ გვარათ; ერთბაშათ აქ არაფერი არ ხდება. როცა დაწერით აზრის გამოხატვა გადავიდოდა, ძალა-უნებურათ შეუღდგენ ისეთი მასალის გამოძებნას, რომელზედაც დაწერა უფრო ადვილი და მოსახერხებელი ყოფილიყო. ასეთი მასალა აღმოჩნდა ეგვიპტეში რამდენიმე საუკუნით წინ ქრისტეს წინათ, სახელდობ პაპირუსი (Papyrus, მცენარის ფოთოლი). დაახლოვებით არ არის ცნობილი, თუ როდის დაიწყეს პაპირუსზე წერა, მხოლოდ ვიცით, რომ ამაზე სწვრდენ უფრო ადრე, ვინც ტყავზე.<sup>3)</sup> თავის თავით იგულისხმება, რომ პაპირუსზე ვერ გაჩერდებოდნენ, რადგანაც პაპირუსს, როგორც სამწერლო მასალას, ჰქონდა ბევრნაირი ნაკლებევალება ტექნიკურის მხრით. ამიტომ ალბათ არ გაუვლია დიდ ხანს პაპირუსის აღმოჩენის შემდეგ, რომ მის ადგილას ხმარებაში შემოვიდა ცხვრის და სხვა ცხოველის ტყავზე წერა. ტყავზე ანუ პერგამენტზე<sup>4)</sup> წერამ კი შედარებით უფრო დიდ ხანს გასტანა, ევროპაში მაინც. მართალია, ცნობილია, რომ ჩინელებმა, ამ ყველაფერში ახირებულმა ხალხმა, ბამბის ქალაღდი გამოიგონეს თითქმის ორი საუკუნის წინ ქრისტემდის, მაგრამ დანარჩენმა კაცობრიობამ ბამბის ქალაღდი გაიცნო ძლიერ გვიან. ჩინელებიდან ქალაღდის ხმარება პირველათ იაპონელებმა გადაიღეს, შემდეგ არაბებმა; ამ უკანასკნელმა ეს გადაიტანეს ისპანიაში, რის შემდეგ ქალაღდის ხმარება გავრცელდა ევროპაში.<sup>5)</sup>

<sup>3)</sup> 1752 წელს იტალიის ერთ ქალაქში პირველათ აღმოაჩინეს დაწერილი პაპირუსი. შემდეგ წლებში იპოვნეს მრავალი ასეთი პაპირუსები, რომლებიც შეიცავდნენ არისტოტელის და აგრეთვე საბერძნეთის სხვა გამოჩენილ მწერალთა თხზულებათა ნაწყვეტები.

<sup>4)</sup> სიტყვა პერგამენტი წარმომდგარია მცირე აზიის ერთი ქალაქისაგან, რომელსაც პერგამონი ერქვა და რომელშიაც ყველაზე უფრო გაუმჯობესეს საწერი ტყავის კეთება.

<sup>5)</sup> ისპანიის შემდეგ ქალაღდის ხმარება შემოიღეს: გერმანიაში 1194 წ., საფრანგეთში—1250 წ., იტალიაში—1275 წ., შვეიცარიაში—1430 წ. როდის შემოვიდა ჩვენში ბამბის ქალაღდი, ჩვენ არ ვიცით. აქ უნდა დავძინოთ, რომ, რადგანაც პირველ ხანებში ბამბის ქალაღდი იშვიათი იყო, ამიტომ პერგამენტზე წერამ კიდევ დიდ ხანს გასტანა ქალაღდის შემოღების შემდეგაც.

რა თქმა უნდა, ბამბის ქალაღდის გამოგონებამ მწერლობის ასპარეზი შესანიშნავათ გააფართოვა: ახლანდელი შესაძლებელი შეიქნა შედარებით უფრო იაფათ და უფრო ნაკლები შრომით ვრცელ თხზულებათა წერა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ცოტათ თუ ბევრათ მოზდილი წიგნის დაწერა მაინც ძვირათ ჯდებოდა, რადგანაც მისა გადაწერა აუარებელ შრომას და დახელოვნებას თხოულობდა. ხშირათ ერთი წიგნის გადაწერა მთელ ეპოქას შეადგენდა. ამიტომ ყოველსავე ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ რაიმე ნაირათ ეს შრომა გაეადვილებიათ და შეემცირებიათ. ეს შესარულა იოჰანე გუტენბერგმა 1450 წელს საბექდავი მაშინის—სტამბის—გამოგონებით (ქ. მაინცში, გერმანიაში). თუ რა მოთხოვნილებას გრძობდა ამაში მაშინდელი ევროპა, ეს იქიდან ჩანს, რომ 50 წლის განმავლობაში (1450—1500) სტამბები დაარსეს დასავლეთ ევროპის 215 სხვა-და-სხვა ქალაქებში.<sup>6)</sup> სტამბის გამოგონებით საბოლოოთ აცილებული იქმნა ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც-კი მწერლობის გაფართოებას ეღობებოდა; ამიერიდან მწერლობას მიეცა ნამდვილი სახე, მას მიენიქა სრული საშუალება შექმნილიყო გონების იმ დაუშრეტელ წყაროთ, რასაც იგი დღეს წარმოადგენს.

ასეთი იყო მწერლობის გარეგანი განვითარება, ე. ი. განვითარება თვით წერის საშუალებათა. ამის თანახმათ ხდებოდა მწერლობის შინაარსის განვითარებაც. როგორც ზევითაც ვამბობდით, მწერლობის განვითარება საზოგადოთ მქიდროთ შეკავშირებულია საზოგადოებრივ განვითარებასთან. თითოეული ნაბიჯი, წინ გადადგმული მწერლობისა, უექველათ აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმა ცვლილება მომხდარა. პირველ დროთა მწერლობის დასახასიათებლათ მოვიგონოთ აქ, რომ პირველ ხანებში მწერლობა მხოლოთ რამდენიმე რჩეულ პირთათვის, განსაკუთრებით ქურუმთათვის, არსებობდა. უმრავლესობისთვის ეს საიდუმლოება იყო და ვინც ეს საიდუმლოება იცოდა, იმას ხალხის წარმოდგენით უზენაესი ძალა სწყალობდა. ამიტომ სრულებით საკვირველი არ არის, თუ ქურუმები ხალხის თვალში უზენაეს არსებათა სურვილის და წადილის მცოდნენი და გამოთქმელები იყვენ. ამით ისარგებლეს იმათ და ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ მწერლობა მიუწდომელი და გაუგებარი ყოფილიყო ხალხისთვის. და, მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში მწერლობა უმრავლესობისათვის არ არსებობდა და თუ არსებობდა, მხოლოთ იმიტომ, რომ იმის წყალობით ეს უმრავლესობა კიდევ უფრო დაეკაბნებინათ და გაეყვლიფათ. მაგრამ დროთა ბრუნვამ მწერლობა თან-და-თან გახადა უმრავლესობის იარაღათ. ეს მოხდა როგორც წერის ტექნიკური პირობების გაუმჯობესების, ისე თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების წყალობით. მწერლობა თან-და-თან ხელ-მისაწვდენი შეი-

<sup>6)</sup> ამ რიცხვში გერმანია და ავსტრიაში 54, იტალიაში—71, შვეიცარიაში—6, საფრანგეთში—28, ჰოლანდიაში—21, ისპანია და პორტუგალაში—25, ინგლისში—5, შვეციაში—2, დანიაში—2, ოსმალეთში—1, რუსეთში პირველი სტამბა გაიხსნა 1555—63 წ.წ. (მოსკოვში). საქართველოში პირველი სტამბა დაარსა ვახტანგ მე-VI 1709 წ. ქ. თფილისში.

ქმნა უმრავლესობისთვის. ვიტყვით კიდევ მეტს: არა თუ ხელმისაწვდომი, არამედ აუცილებელი საჭიროა. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ ჩვენი ქვეყანა. რათ ვქირავებოდა ჩვენს ხალხს მწერლობა ამ 50 წლის წინათ, წერა-კითხვა რომ ცოდნოდა, როცა მას ისეთი უღელი აწვა კისერზე, რომ ყოველივე მისთვის, გარდა უზომო ფიზიკური შრომისა, ამაო იყო. სულ სხვას ვხედავთ დღეს. ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ, რომელიც დამკვიდრდა ჩვენში ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, დაბადა სრულიად ახალი მოთხოვნილებანი; ერთ ამ მოთხოვნილებათაგანს შეადგენს წერა-კითხვის აუცილებელი საჭიროება და მწერლობის საარგებლობა. ამას მოყვა ის, რომ ჩვენი ლიტერატურა, რომელიც ამ 50 წლის წინათ ისე დაშორებული იყო ხალხისაგან, როგორათაც დედამიწისაგან, დღეს სახალხო ხდება.

არა ერთხელ თქმულა და კიდევ გავიმეორებთ, რომ დღეს მწერლობა წარმოადგენს ნამდვილ გონებრივ სალაროს, რომელშიაც მთელი საზოგადოება და კერძოთ ყოველი მისი წევრი პოულობენ ყოველგვარ გონებრივ საზრდოს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ დაკვირვებას, რომელიც ამოღებს და აკეთილშობილებს მის გონებას, გრძობას და გემოვნებას; კერძოთ ჟურნალ-გაზეთობა, ე. ი. პუბლიცისტიკა ახლოვებს მკითხველს მთელ ქვეყნიერებასთან, ხდის მას წევრათ ერთი მთელისას, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება; ერთი სიტყვით, მწერლობა შეადგენს ატმოსფეროს, რომელშიაც სულდგმულობს დღევანდელი საზოგადოება და ურომლისოთ მას სიცოცხლე არ ძალუძს. მართალია, ამ ატმოსფეროში კეთილ და განმაცხოვრებელ ძალთა გვერდით ბუდობენ ყოველად გამათახსირებელი, მავნე და უკუღმართი ელემენტები, რომლებიც ავრცელებენ და ამაგრებენ საზოგადოებაში ბოროტებას, დამყარებულს სიცრუესა და სიყალბეზე. ეს ორ-გვარი მიმართულება მომდინარეობს დასაწყისიდანვე მწერლობაშიაც ისე, როგორც თვით ცხოვრებაში. მაშასადამე, ის განხეთქილება და წინააღმდეგობა ინტერესთა, — ანტოგონიზმი, რაიცა შეადგენს ისტორიის შინაარსს, გადასულია მწერლობაში მთელი თავისი სიგრძესიგანით. და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მწერლობა ნამდვილი სარკვა საზოგადოებისა. ეს გარემოება ხდება მკითხველის შემაცდენელათ: მწერლობაში ზოგჯერ მას მიიჩნია ქეშმარიტებათ ის, რაც სიცრუეა, და კეთილათ ის, რაც ბოროტია. მაგრამ მკითხველის დამხმარებელი არის ამ შემთხვევაში თვით ცხოვრება: მისი მუჯღღუგუნი მკითხველს უხილავს თვალს, ურკვევს მას გზას და უთითებს, სად არის ქეშმარიტება და სიმართლე და სად სიცრუე და სიყალბე. და რამდენათ თვით მწერლობა არკვევს და ხსნის ცხოვრების სინამდვილეს, იმდენათ იგი ძირს უთხრის იმ მავნე და უკუღმართ მიმართულებათ, რომლებიც მწერლობაშივე ბუდობენ. ესევე ხდება მეორე გზით, სახელდობ, მიუწოდმელი და მკაცრი კრიტიკით იმ ცრუ სწავლათა და მოძღვრებათა, რომლებზედაც დამყარებულია მავნე-ეს და გამათახსირებელი მიმართულებანი. მწერლობის ისტორია გვიმტკიცებს, რომ ცრუ მოძღვრებანი და მიმართულებანი თან-და-თან სუსტდებიან და ჰქრებიან. პირ-იქით, ყოველი ქეშმარიტი და მართალი შეხედულება, ერთხელ წარმოქმული და გადატანილი მწერლობაში, არასოდეს აღარ კვდება და აღარ იკარგება, არამედ თან-და-თან იფურჩქნება, ძლიერდება და სულ უფრო და უფრო ფებს იკიდებს, თუმცა პირველათ კი მას სასტიკათ დევნიან.

ამნაირათ, საერთო დასკვნა, რომელიც ჩვენ გამოგვყავს ხემათ ნათქვამიდან, ასეთია: მწერლობას აქვს თავის საჭიროება კუთარი ისტორია; მაგრამ რადგანაც მწერლობის წარმოშობა და განვითარება გამოწვეულ იქმნა საზოგადოების საწარმოვო ძალთა განვითარებით, ამიტომ საზოგადოებრივი განვითარების გარეთ მისი ისტორიის გაგება ყოველად შეუძლებელია.

ფ. მახარაძე.

მ ი რ ი შ ე ნ ი შ ე ნ ა

„კვალი“-ს ზირველ ნომერში, „სყოველთაო კალენდრის“ ბიბლიოგრაფი სწევს, რომ ვითომ ამ კალენდრში მოთავსებული ლექსი გ. წერეთელზე ეკუთვნოდეს ჰატიგეშულ კ. გოგოლაძეს. ის ლექსი ეკუთვნის ბ-ს ალ. ხაბუაიანს და სარჩევში უნდა გამცნადებუდიყო, მაგრამ კალენდრის ის ფონმა უხემათ დაიბეჭდა და ავტორის ვისახბა არ დაჩა მისსენებული. ამაზე ჩვენ ცალკე განცხადებას ვბეჭდავთ „სახალ-წლო სახუქაშში“ და ცალკე ფურცლათც.\*)

2 იანვარი 1901 წ. „სყოველთაო კალენდრის“ შემდგენელ-გამომც. კ. თავართქილაძე.

\*) ასეთსავე წერილს გვწერს ბ. კ. გოგოლაძე რედ. რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

სამთლიციკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატბიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი ივლისი)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, გაზართო-შეაზული ფორმატით ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისმხენ: რადგანაც სალ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ ზირბებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაზართოვება; ახა, ზი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ვეროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მანეთათ, თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სახალის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ნხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15, ალექსანდროვის ბაღის ახლოს.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და გ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო საკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კარბ-მოღებაძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.